ახალი განათლება

30 ივნისი

ფასი 1 ლარი 70 თეთრი

№25 (739) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

კანონი – საგანმანათლებლო კომპონენტითა და ინკლუზიური არსით

გვერდი 2

ბავშვთა უფლებები

გზა ეფექტიანი მართლმსაჯულების სისტემისკენ — გვერდი 3

საუბრები ლიტერატურაზე

ამირანიანის „სამება“ ბიბლიური სიმბოლიკა „ამირანში“ — გვერდი 6

პედაგოგთა დასახმარებლად

მათემატიკის კონსტრუქციისტული სწავლება

მათემატიკა (დაწყებითი საფეხური) — გვერდი 8

წელს, საერთაშორისო საგანმანათლებლო კვლევის ePirls ფარგლებში საქართველოს სკოლების 6000-მდე მე-4 კლასელმა მოსწავლემ კომპიუტერული ტესტირება გაიარა. ელექტრონულ ტესტზე მუშაობის პროცედურებს 8-9 წლის მოზარდებმა წარმატებით გაართვეს თავი.

ადრეული და სკოლამდელი განათლება

კანონი – საგანმანათლებლო კომპონენტითა და ინკლუზიური არსით

8 ივნისს პარლამენტმა, მესამე და საბოლოო მოსმენით, 74 ხმით 1-ის წინააღმდეგ, დაამტკიცა კანონი „ადრეული და სკოლამდელი განათლების შესახებ“, რომელიც გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით შეიქმნა. კანონი, რომელმაც შემუშავების, დახვეწისა და საჯარო განხილვების გრძელი გზა გაიარა, გააძლიერებს საკანონმდებლო გაზას და ყველა ბავშვისთვის უზრუნველყოფს ეროვნულ სტანდარტებზე დაფუძნებულ ადრეულ და სკოლამდელ განათლებას. საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობის პერიოდში, კანონით პირველად დარეგულირდება ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სფერო.

როგორ განისაზღვრა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს როლი და ფუნქცია ადრეული და სკოლამდელი განათლების სისტემაში, ამის შესახებ გვესაუბრება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის უფროსი ნათია ჯოხაძე:

– მიუხედავად იმისა, რომ საგანმანათლებლო სისტემაში არაერთი რეფორმა განხორციელდა (ხან წარმატებული, ხანაც არც თუ ისე ეფექტიანი), სკოლამდელი განათლების სფეროს, საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობის პერიოდში, ის არ შეხებია. ერთადერთი, რაც ამ სფეროში განხორციელდა და ამას რეფორმას ვერ დავარქმევთ, მოხდა სისტემის დეცენტრალიზაცია. თუ მანამდე სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მართვას სახელმწიფო, ცენტრალური ხელისუფლება ახორციელებდა, 2006 წლიდან ეს ფუნქცია ადგილობრივ თვითმმართველობებს გადაეცა. თუმცა, ეს „რეფორმა“ მხოლოდ ამ ფუნქციის გადაცემით შემოიფარგლა, რადგან მათ არ გადაეცათ არანაირი ცოდნა და სტანდარტი, არ მომზადებულან ადამიანები და მათთვის არავის დაუწესებია რაიმე სავალდებულო კომპონენტი, რომელიც სკოლამდელი განათლების განვითარებას შეუწყობდა ხელს. შესაბამისად, ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, არც მონიტორინგი განხორციელებულა. ამასთანავე, სკოლამდელ განათლებაში არასდროს გვქონდა ერთიანი სავალდებულო საგანმანათლებლო კომპონენტი და სტანდარტი.

ყველას, ვინც განათლების სფეროში ვმუშაობთ, გვესმოდა და გვესმის, რამდენად მნიშვნელოვანი როლი აკისრია სკოლამდელ განათლებას და იქ ჩადებულ ინვესტიციებს ადამიანის არა მხოლოდ საგანმანათლებლო მომავლისთვის, ცოდნის შეძენის თვალსაზრისით, არამედ მთელი რიგი უნარ-ჩვევების განსავითარებლად. სწორედ აქედან გამომდინარე, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მუდმივად ამზადებდა (მიუხედავად იმისა, რომ ეს მისი უშუალო კომპეტენცია არ იყო) მეთოდურ რესურსებსა და ადრეული განვითარების სტანდარტებს, ვატარებდით გარკვეულ შეხვედრებს და საკონსულტაციო მხარდაჭერას ვუწევდით ადგილობრივ თვითმმართველობას, რომ განათლების კომპონენტი, გარკვეული სახით, შესულიყო ბაღში და გაძლიერებულიყო.

დღესაც კი, ნაკლებად მოიაზრება საბავშვო ბაღში განათლების კომპონენტი, რადგან, ძირითადად, სკოლამდელი დაწესებულება აღქმულია კვების, დაძინებისა და თამაშის ერთობლივ სერვისად. მართალია, თამაში განათლებისა და ცოდნის შეძენის ერთ-ერთი გზაა, მაგრამ საგანმანათლებლო კომპონენტი არსად მოიხსენიება. აქამდე არსებულ კანონმდებლობაში (კოდექსი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ) სულ ერთი ჩანაწერი არსებობდა – „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მართვა ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციაა“. არც ერთი სხვა ცენტრალიზებული ნორმატიული დოკუმენტით, კანონით ან კოდექსით ეს სფერო არ რეგულირდება.

სისტემა და სახელმწიფო ბუნებრივად მივიდა იმ გადაწყვეტილებამდე, რომ უმნიშვნელოვანესია სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის რეფორმირება. დიდი სურვილი გვქონდა, თავდაპირველად, შემუშავებულიყო სკოლამდელი განათლების განვითარების ხედვა და სტრატეგია, რასაც დაეფუძნებოდა მთელი რიგი პროცესები, მათ შორის კანონის შემუშავება, სტანდარტები და ა.შ. ვინაიდან ეს არ იყო ცენტრალური ხელისუფლების უშუალო კომპეტენცია, დახმარებისთვის დონორს მივმართეთ, ამ შემთხვევაში – გაეროს ბავშვთა ფონდს – იუნისეფს. გარკვეული დროის შემდეგ, თავად იუნისეფმა დაიქირავა საერთაშორისო ექსპერტი და დაიწყო კანონის შექმნის პროცესი. რადგან სტრატეგია ჩამოყალიბებული არ იყო, ეს პროცესი საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა. ცხადია, მუშაობის პროცესში მუდმივად მიმდინარეობდა დისკუსიები და, ფაქტობრივად, კანონის წერის პროცესი სტრატეგიის ფორმულირების პროცესადაც იქცა. ვფიქრობ, ძალიან სერიოზული გადაწყვეტილება მივიღეთ, რომ უკვე გვაქვს კანონი ადრეული და სკოლამდელი განათლების შესახებ, რომელიც პარლამენტმა სამი მოსმენით მიიღო, ძალიან მნიშვნელოვანი იმ თვალსაზრისითაც, რომ სახელმწიფოს პირველი მცდელობაა, კანონით დაარეგულიროს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სფერო და კანონის ენით თქვას, რომ სკოლამდელი სერვისი მხოლოდ კვება-ძილი-თამაში არ არის, განათლების და ცოდნის უნარების განვითარების კომპონენტიცაა. პირველი მცდელობაა სახელმწიფოს მხრიდან ისიც, რომ ცენტრალიზებული გახადოს მთელი რიგი საკითხები ისე, რომ სისტემა დეცენტრალიზებული დატოვოს. კანონი ადგენს ცენტრალური სახელმწიფო ინსტიტუტების როლს სკოლამდელ განათლებაში და, რაც მთავარია, ეს ყველაფერი სტანდარტების შემუშავების გზით მიმდინარეობს. ჩვენ, როგორც ცენტრალური ხელისუფლება, ვალდებულებას ვიტოვებთ, შევიმუშაოთ სტანდარტები და ეს სტანდარტები ერთნაირი იყოს საქართველოში მცხოვრები ყველა ბავშვისთვის. სტანდარტების იმპლემენტაცია კი ადგილობრივმა ხელისუფლებებმა უნდა განახორციელონ. ამ პროცესის მონიტორინგში თავისი ნილი პასუხისმგებლობა, რა თქმა უნდა, ცენტრალურმა ხელისუფლებამაც უნდა აიღოს.

ვფიქრობ, ამ მიმართულებით, ძალიან სერიოზული წინსვლა გვაქვს, გათვალისწინებულია საერთაშორისო პრაქტიკა, განსაკუთრებით იმ ქვეყნების, სადაც წარმატებით ხორციელდება სკოლამდელი განათლება. ჩვენ, ძირითადად, სწორედ ამ პრინციპებით მივდივართ – სისტემის მართვის დონეზე სისტემა დეცენტრალიზებულია, ხოლო სტანდარტიზაციისა და ხარისხის გაუმჯობესების დონეზე, ჩართულია როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი ხელისუფლება.

ეს კანონი საფუძველს ჩაუყრის ბევრ ახალ ინიციატივას, დაგვაფიქრებს ინსტიტუციურ მოწყობაზე, ადამიანურ რესურსებზე და გააჩენს ახალ კვალიფიკაციებს, მაგალითად, კანონში ჩადებულია დაწესებულებების ავტორიზაცია, რაც იმას ნიშნავს, რომ გარკვეული ადამიანები იქნებიან ადრეული და სკოლამდელი განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები, შესაბამისად, შრომის ბაზარზე ახალი კვალიფიკაცია ჩნდება. ასევე, კანონში ჩადებულია, რომ, აღმზრდელების გარდა, გვეყოლებიან აღმზრდელ-პედაგოგები, რისთვისაც საჭიროა პროფესიული სტანდარტის შემუშავება. გარდა იმისა, რომ ბავშვისთვის სკოლამდელი განათლება გაცილებით ხარისხიანი გახდება, კანონი მთელ რიგ პროცესებს დაძრავს.

– რეალურად, კანონით რა შეიცვლება განათლების მიმართულებით?

– ახალი კანონით, განათლების მიმართულებით, იცვლება შემდეგი პუნქტები:

უნდა შევიმუშაოთ ადრეული და სკოლამდელი განათლების სახელმწიფო საგანმანთლებლო სტანდარტები (, პრინციპში, ნაწილობრივ გაკეთებული გვაქვს). ამ სტანდარტების დანერგვის ვალდებულება, უშუალოდ, თვითმმართველობასა და ადრეული აღზრდისა და განათლების დაწესებულებას ეკისრება. სტანდარტიზებული გახდება ბავშვის განვითარება, რადგან არ შეიძლება, მისი განვითარება სხვადასხვანაირი იყოს – გარკვეულ ასაკში ბავშვს აქვს ინდიკატორები, თუ როგორ ვითარდება საგანმანათლებლო კუთხით. ვფიქრობ, ეს ძალიან მნიშვნელოვანი და სერიოზული ნაბიჯია – ყველა ბავშვისთვის ერთნაირად ხელმისაწვდომი იქნება საგანმანათლებლო კომპონენტი.

მეორე ცვლილება აღმზრდელის სტატუსს ეხება. რადგან საგანმანათლებლო კომპონენტი ძლიერდება, მათ ერქმევათ აღმზრდელ-პედაგოგები, შესაბამისად, მათი ხელფასის ზღვრული ოდენობაც ამ სტატუსით განისაზღვრება და სკოლის პედაგოგის ხელფასს მიუახლოვდება/გაუთანაბრდება. სახელმწიფომ უნდა შეიმუშაოს აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტი, რაც იმას ნიშნავს, რომ აღმზრდელის სტანდარტი ბავშვის სტანდარტთან შესაბამისობაში იქნება მოყვანილი, ანუ ამ ცვლილების ცენტრში დგას ბავშვი. ეს საგანმანათლებლო პრინციპი გვაქვს ზოგად განათლებაში – ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, მზე არის ბავშვი, ხოლო ყველა დანარჩენი მზის სისტემის გარშემო მოძრავი პლანეტები ვართ, ზოგი უფრო ახლოს არის მასთან, ზოგიც – ცოტა მოშორებით, მაგრამ მის ირგვლივ ვტრიალებთ და მის ინტერესებს ვემსახურებით.

რასაკვირველია, ცვლილება არ გულისხმობს აღმზრდელებისთვის მხოლოდ სახელის – აღმზრდელ-პედაგოგის დარქმევას. რადგან ვალდებულები ვართ, შევქმნათ აღმზრდელ-პედაგოგის სტატუსი, ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი უნდა გადავამზადოთ სტანდარტთან მიმართებაში. მათ არ გადაამზადებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. ჩვენი უწყება ქმნის სტანდარტს, მის შესაბამის პროფესიული განვითარების ტრენინგმოდულებს და ადგილობრივ თვითმმართველობას აღმზრდელ-პედაგოგების გადამზადებაში ეხმარება. ეს დახმარება შეიძლება იყოს: კონსულტაციები, ერთობლივი პროექტები და ა.შ., რაც დეტალურად გაიწერება ყოველწლიურ სამოქმედო გეგმაში.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ასევე შეიმუშავებს და დაამტკიცებს აღმზრდელის პროფესიული განვითარების ჩარჩო დოკუმენტს და მისი განხორციელება შეეძლებათ კერძო თუ სახელმწიფო პროფესიულ სასწავლებლებს. ჩვენვე ვუმზადებთ ადგილობრივ თვითმმართველობას იმ საგანმანათლებლო რესურსების სიას, რაც სჭირდება სტანდარტის ამუშავებას. ჩვენი კომპეტენციაა მეთოდოლოგიური რესურსების მომზადებაც – ეს შეიძლება იყოს აღმზრდელ-პედაგოგის გზამკვლევი, აქტივობების კრებული, თამაშების წიგნი და ა.შ., რაც ძალიან დაეხმარებათ, ჯგუფში დანერგონ სტანდარტი – სამინისტროში მზადდება მთელი საგანმანათლებლო პაკეტი.

დამატებით ვმონაწილეობთ მონიტორინგის სისტემაში, საგანმანათლებლო კომპონენტის განვითარებისა და დახვეწის მიზნით, რომ შემდეგ წელს უკეთესი კომპონენტით შევიდეთ დაწესებულებაში. დანერგვის მონიტორინგი ორ დონეზე ხორციელდება – ერთს ადგილობრივი თვითმმართველობა აკეთებს, ხოლო მეორეს – განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, რადგან ძალიან მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, არსებული სტანდარტი, ყოველდღიურობაში, როგორ მიდის ბავშვთან. სწორედ ამ გზით გამოვავლენთ ხარვეზებს და ვიპოვით გამოსწორების გზებს – ვის რა რეკომენდაციები უნდა მივცეთ.

– ითვალისწინებს თუ არა კანონი ინკლუზიური განათლების კომპონენტს?

– ინკლუზიური განათლების კომპონენტი ცალკე არ არის გამოყოფილი, რადგან შეიძლება ითქვას, რომ კანონი მთლიანად ინკლუზიურობის პრინციპითაა მოცული, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველა ის სიკეთე, რაც მუშავდება, ყველაზე თანაბრად ვრცელდება, განურჩევლად მათი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა. ცხადია, ინკლუზიური განათლებისთვის ტაქტიკური გეგმა შეიძლება სხვა გვქონდეს ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებისთვის განსხვავებული საგანმანათლებლო მეთოდოლოგიური რესურსის მომზადება გახდეს საჭირო, რაც ავტორიზაციის პირობებშიც იქნება გათვალისწინებული. ყოველივე ამაზე პასუხისმგებლობას ჩვენ ვიღებთ. სახელმწიფო ვალდებულია და ყველა ბავშვს უნდა შესთავაზოს სპეციალური საგანმანათლებლო რესურსი. კანონი ითვალისწინებს იმას, რომ ეს დაწესებულებები იყოს საყოველთაო, სრულიად ინკლუზიური და ინტეგრირებული. მეტიც, ჩვენ საზოგადოების ინფორმირების ვალდებულება გვაქვს – ინკლუზიურ სკოლამდელ აღზრდას და განათლებას გავუწიოთ პოპულარიზაცია და სწორად მივაწოდოთ საზოგადოებას ინფორმაცია, რათა ამ სისტემას ბარიერები არ შეექმნას. ასე რომ, ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებით ზუსტად იგივე პროცესები განვითარდება, როგორიც ზოგად განათლებაში.

– კანონის თანახმად, როგორ წარიმართება სასკოლო მზაობის პროგრამა და ხდება თუ არა ის სავალდებულო?

– სასკოლო მზაობის პროგრამა სკოლისთვის ბავშვის ერთწლიან მომზადებას ითვალისწინებს, ანუ ვიდრე ის სკოლაში შევა. ამ ჯგუფში შეიძლება მოხვდნენ როგორც 5 წლის, ისე 6 წლამდე ბავშვები. ჯერ კიდევ შარშან მომზადდა და დამტკიცდა სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტი, რომელიც უკვე მუშაობს. სტანდარტთან ერთად ჩვენ გავაკეთეთ გზამკვლევი, აქტივობების კრებული, დავდიოდით რეგიონებშიც და თბილისშიც, გადამზადდნენ მეთოდისტები. ჩვენი დეპარტამენტის ინკლუზიური განათლების განვითარების სამმართველო რეგიონებში ინტენსიურად აწყობდა საკონსულტაციო შეხვედრებსა და პრეზენტაციებს. ვფიქრობ, სასკოლო მზაობის პროგრამამ ცუდად არ იმუშავა, თუმცა, ხარვეზების თანხლებით, ზოგმა ბაღმა კარგად განახორციელა, ზოგმა – ნაკლებად კარგად ან ცუდად, მით უმეტეს, იმ პირობებში, როცა ამ საქმისთვის მწირი რესურსები იყო გამოყოფილი.

როდესაც ასეთი მასშტაბის რეფორმა იწყება, ვფიქრობ, მნიშვნელოვანია, რაც შეიძლება მეტი, მეთოდოლოგიური რესურსის ხელმისაწვდომობა. სახელმწიფო ბიუჯეტი არ იძლეოდა იმის საშუალებას, რომ თითოეულ აღმზრდელს აქტივობების კრებულის საკუთარი ეგზემპლარი ჰქონოდა. მიუხედავად ამისა, ჩვენ მოვამზადეთ და ბაღებში დავარიგეთ აქტივობების კრებულიცა და გზამკვლევიც, რომლებიც ძალიან კარგი გამოვიდა. მათ მომზადებაში პროფესიონალი ფსიქოლოგები და სხვა სპეციალისტები მონაწილეობდნენ. ახლა უკვე მონიტორინგის სისტემაზე ვმუშაობთ, რომელიც, სავარაუდოდ, სექტემბერში უნდა ჩავატაროთ, ვაზუსტებთ, რა ინსტრუმენტებით უნდა შევამოწმოთ რამდენად კარგად ხორციელდება სტანდარტი ან რა უშლის ხელს მის განხორციელებას, შესაბამისად, რა უნდა შევცვალოთ ჩვენ, ადგილობრივმა ხელისუფლებამ ან მასწავლებელმა.

რაც შეეხება იმას, სავალდებულოა თუ არა სასკოლო მზაობის პროგრამა, რა თქმა უნდა, სავალდებულოა ყველა საბავშვო ბაღისთვის. სადაც მივა ამ ასაკის ბავშვი, ის უნდა მიიღონ და შესთავაზონ ეს პროგრამა. თუმცა, სავალდებულო არ არის ბავშვისთვის. მშობელს, რომელსაც არ სურს სკოლამდელ დაწესებულებაში მიიყვანოს ბავშვი და გაატაროს ეს პროგრამა, ამ ეტაპისთვის ვერავინ დაავალდებულებს.

– როგორია სასკოლო მზაობის მიზნები, რას სთავაზობთ 5-6 წლის ბავშვებს?

ადრეული და სკოლამდელი განათლება

– სასკოლო მზაობის პროგრამის მიზნებია: განუვითაროს ბავშვს მომავალი ცხოვრებისათვის, წარმატებულ მოქალაქედ ფორმირებისათვის, მეგობრებსა და ოჯახის წევრებთან პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებისათვის საჭირო უნარები; დაეხმაროს მას საუკეთესო არჩევანის გაკეთებასა და ახალ გამოწვევებთან გამკლავებაში; კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებაში; ხელი წეუწყოს მის ფიზიკურ და ემოციურ სიჯანსაღეს; მოამზადოს ბავშვი პირველი კლასის მოსწავლის წინაშე არსებული მოლოდინებისა და გამოწვევებისთვის და პოზიტიური განწყობა შეუქმნას სწავლის მიმართ.

როგორ მიაღწიონ ამ მიზანს, ვფიქრობ, ამას საუკეთესოდ განმარტავს თავად სასკოლო მზაობის პროგრამის სახელწოდება „თამაში“, რომელიც პროგრამის ძირითადი ცნებების აკრონომს წარმოადგენს: **თანამშრომლობა – აღმოჩენა – მოტივაცია – არჩევანი – შემოქმედებითობა – ინდივიდუალობა**.

– ქალბატონო ნათია, შარშან სასკოლო მზაობის პროგრამის დანერგვას ძალიან სერიოზული და მწვავე გამოხმაურებები მოჰყვა, რადგან სკოლის მიღმა დარჩა ათასობით პატარა, რომელიც კანონის ახალი რეგულაციით განსაზღვრულ სასკოლო ასაკს 15 სექტემბრამდე ვერ აკმაყოფილებდა. როგორც ცნობილია, ბაღებსაც გაუჭირდათ ამდენი ბავშვის სასკოლო მზაობის პროგრამით მიღება. როგორ ფიქრობთ, წელს დააკმაყოფილებს თუ არა პროგრამის გავლის მსურველთა მოთხოვნას ადრეული და სკოლამდელი განათლების სისტემა?

– ეს უსერიოზულესი პრობლემაა. საერთოდ, ყველგან ასეა, მათ შორის, ზოგად განათლებაშიც და სკოლამდელ განათლებაშიც – როდესაც იგეგმება რეფორმა, აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იქნას ყველა კომპონენტი, არ შეიძლება, რაღაც ამოვგლიჯოთ. ძალიან კარგია, რომ სტანდარტი გვაქვს, მაგრამ სწორედ სტანდარტების დამტკიცების შემდეგ იწყება მთავარი პროცესები. სტანდარტის შექმნა არ ნიშნავს, რომ სისტემის რეფორმირება მოვახდინეთ. ეს ნიშნავს, რომ რეფორმის პირველი საფეხური დავასრულეთ. პირველი საფეხური სტრატეგიული გეგმის მომზადებაა, მაგრამ რადგანაც, ჯერჯერობით, სტრატეგიული გეგმა არ გვაქვს, ჩავთვალოთ, რომ, სტანდარტის შექმნით, რეფორმის პირველი საფეხური – საწყისი ეტაპი დავასრულეთ, რომლის შემდეგაც უნდა დაინერგოს სტანდარტი. თავისთავად, სტანდარტის დანერგვა მხოლოდ და მხოლოდ მასწავლებლის გზამკვლევის მომზადებას არ ნიშნავს. მის დასანერგად აუცილებელია ინფრასტრუქტურის მომზადება, მის შესაბამისად აღმზრდელის გადამზადება და უმნიშვნელოვანესია ბაღის დირექტორების გადამზადება, რადგან მენეჯმენტს უდიდესი როლი აკისრია. არ შეიძლება, დაწესებულების იმიჯი დამოკიდებული იყოს ერთ რომელიმე მასწავლებელზე. კარგი მენეჯერის შემთხვევაში, ის მასწავლებელიც კარგად მუშაობს, უფრო მეტად მოტივირებულია, პასუხისმგებლობითაა აღჭურვილი და პროცესებიც სწორად მიმდინარეობს. მხოლოდ მასწავლებლის გადამზადება საკმარისი არ არის, ადმინისტრაციის წარმომადგენლებიც უნდა გადამზადდნენ, სათანადო სტანდარტს უნდა პასუხობდნენ ის უწყებები, რომლებიც უშუალოდ არიან პასუხისმგებლები სკოლამდელი განათლების სექტორზე მუნიციპალიტეტებში. ასევე, მნიშვნელოვანია იმ მეთოდისტების კვალიფიკაცია, რომლებიც აღმზრდელ-მასწავლებელთა საქმიანობას შეაფასებენ. მთელი სისტემა კოორდინირებულად უნდა მუშაობდეს სტანდარტის დანერგვაზე. მაგალითად, ინფრასტრუქტურაში არ იგულისხმება მხოლოდ ახალი შენობის აშენება, მნიშვნელოვანია, როგორი გარემოა შექმნილი ბავშვისთვის. ამისთვის სტანდარტებია მოსამზადებელი და უამრავი დეტალია გასათვლელი, მაგალითად ის, რომ მაგიდის კუთხე არ უნდა იყოს წვეტიანი. უნდა დავუშვათ, რომ ეს ნიუანსები შეიძლება ყველამ არ იცოდეს. სწორედ ამიტომ ადგენს სახელმწიფო სწორ სტანდარტებს და შემდეგ ნერგავს.

რაც შეეხება იმას, შეძლეს თუ არა საბავშვო ბაღებმა სასკოლო მზაობის პროგრამის გავლის მსურველთა დაკმაყოფილება, გეტყვით, რომ პრობლემები ნამდვილად იყო, განსაკუთრებით დიდ ქალაქებში, სადაც არ არის საკმარისი ინფრასტრუქტურა. იქ, სადაც არ არის სათანადო ინფრასტრუქტურა და კრიტიკულად მნიშვნელოვანი სასწავლო რესურსი, სტანდარტი რაც უნდა იდეალური და კარგი იყოს, ვერასდროს ვერ განხორციელდება. ბავშვი თუ ვერ მივიდა ბაღში იმის გამო, რომ მისთვის ადგილი არ არის, ეს, რა თქმა უნდა, პრობლემაა. არ შეიძლება რეფორმა მხოლოდ სტანდარტების შემუშავებას დავარქვათ, სწორედ ამიტომ იყო მნიშვნელოვანი, დაგვეწყო სტრატეგიულ გეგმაზე ფიქრი. ეს არის სფერო, რომელშიც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ერთ-ერთი მონაწილეა და არა ერთადერთი. ეს არის კომპეტენცია ადგილობრივი თვითმმართველობის, ეკონომიკის სამინისტროსი, რომელიც მშენებლობის სტანდარტებს ადგენს და ა.შ., რადგან ჩვენ ფუნქციური სტანდარტები გვჭირდება (ყველაფერს ხომ თავისი სტანდარტი აქვს, ხელსაბანიდან დაწყებული უნიტაზის ზომით დამთავრებული, რადგან ბავშვთა ასაკობრივი ჯგუფებია გასათვალისწინებელი). როგორც ვიცით, გაეროს ბავშვთა ფონდმა დაიქირავა ექსპერტები, რომლებიც სტანდარტებზე მუშაობენ.

– ახალი რეგულაციით როგორ მოხდება ადრეული აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მოპოვების პროცედურა, დასჭირდებათ თუ არა ბაღებს ავტორიზაციის გავლა?

– რა თქმა უნდა, კანონში ჩადებულია მუხლი დაწესებულებების ავტორიზაციის შესახებ, რომლის მიხედვითაც, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების განსახორციელებლად, დაწესებულება ვალდებულია გაიაროს ავტორიზაცია, განმახორციელებელი კი უშუალოდ ადგილობრივი თვითმმართველობაა. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ავტორიზაციის პროცესს არ წარმართავს, თუმცა მის მიერ, როგორც ცენტრალური ხელისუფლების მიერ, დადგენილი იქნება ავტორიზაციის სტანდარტები და მასთან მიმართებაში სტანდარტის განხორციელების მონიტორინგი. არა მგონია, კანონში ჩანაწერი გულისხმობდეს, რომ საჯარო საბავშვო ბაღი, რომელიც სტანდარტებს ვერ დააკმაყოფილებს, დაიხუროს. პირიქით, ავტორიზაციას ზუსტად ის ეფექტი უნდა ჰქონდეს, რომ გაუმჯობესდეს სხვადასხვა სერვისის ხარისხი, მათ შორის განათლების კომპონენტის.

– ისევ მინდა დავუბრუნდეთ აღმზრდელ-პედაგოგის სტატუსს, მათი კვალიფიკაცია მასწავლებლის კვალიფიკაციას უთანაბრდება?

– ამ ეტაპზე, ამაზე საუბარი გამიჭირდება, რადგან ჯერ რეალურად არ გვაქვს აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტი. ვიცით, რომ მათი სტატუსი იქნება არა მხოლოდ აღმზრდელი, არამედ აღმზრდელ-პედაგოგი. მიუხედავად იმისა, რომ სტანდარტებით არ იყო სავალდებულო საგანმანათლებლო კომპონენტის განხორციელება, ბაღის აღმზრდელები ამ ფუნქციასაც ითავსებდნენ. ამიერიდან, კანონით მათი სტატუსი განისაზღვრა აღმზრდელ-პედაგოგად, რაც იმას ნიშნავს, რომ ის ელემენტები, რაც პედაგოგის პროფესიულ სტანდარტში უნდა მოიაზრებოდეს, აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიულ სტანდარტშიც იქნება გათვალისწინებული.

– როდის იქნება მზად პროფესიული სტანდარტი?

– სტანდარტი ძალიან მალე გვექნება მზად. დაახლოებით ასეთი გეგმით მივდივართ – რადგან უკვე გვაქვს სასკოლო მზაობის სტანდარტი ბავშვისთვის, სექტემბრისთვის ვგეგმავთ, მოვამზადოთ ადრეული და სკოლამდელი განათლების სტანდარტი, ასევე – აღმზრდელ-პედაგოგისა და ინფრასტრუქტურის. ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, ეტაპობრივად უნდა დავიწყოთ დანერგვა. თუკი გამოჩნდება მსურველი და რომელიმე მუნიციპალიტეტი გვეტყვის, რომ აქვს საკმარისი ინფრასტრუქტურა იმისთვის, რომ დაიწყოს დანერგვა და სჭირდება ჩვენი დახმარება, რასაკვირველია, დავიწყებთ. თუ მუნიციპალიტეტს არ ექნება საკმარისი საგანმანათლებლო რესურსი, ამ შემთხვევაში, შეიძლება ფორმალურად შევიტანოთ. ასეც ხშირად ხდება ხოლმე, მაგალითად, არ არის სტანდარტის შესაბამისი საკანცელარიო რესურსი ან საგანმანათლებლო ლიტერატურა, რაც ადგილობრივმა ხელისუფლებამ უნდა შეიძინოს. როცა ვსაუბრობთ ინკლუზიურ სკოლამდელ განათლებაზე, ეს იმას ნიშნავს, რომ არა მხოლოდ მეთოდოლოგია (რომელსაც ჩვენ ვაწვდით), არამედ გარემო და ინფრასტრუქტურაც ადაპტირებული უნდა იყოს. ამიტომ ახლა ძალიან ბევრი რამაა დამოკიდებული სახელმწიფოს ნებაზე, მის მიერ გამოყოფილ ბიუჯეტსა და გაწერილ ვადებზე.

ესაუბრა **ლალი ჯელაძე**

ბავშვთა უფლებები

გზა ეფექტიანი მართლმსაჯულების სისტემისკენ

ლალი ჯელაძე

მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა თანამედროვე საზოგადოების შესაქმნელად ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია. სამართლიანი მართლმსაჯულება ხელმისაწვდომი უნდა იყოს ქვეყნის ყველა მოქალაქისთვის, მათ შორის, ბავშვებისთვის – ეს გაეროს ბავშვთა ფონდის მოწოდებაა. ახალი პროექტი, რომლის პრეზენტაციაც 24 ივნისს გაიმართა, სწორედ მართლმსაჯულების სისტემის განვითარებას შეუწყობს ხელს საქართველოში. ევროკავშირის მიერ დაფინანსებული სამწლიანი პროექტი, მართლმსაჯულების სისტემის გაძლიერებასთან ერთად, სამართლის სფეროს სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლებაზეც იზრუნებს.

სამ მილიონ ევროზე მეტი დაფინანსების მქონე სამწლიან პროგრამას (2016-2018 წლებში) გაეროს ორი სააგენტო – გაეროს ბავშვთა ფონდი“ (UNICEF) და გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) – ერთობლივად განხორციელებს.

აღნიშნული ინიციატივის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა სახელმწიფო ინსტიტუციების გაძლიერებას და სამართლის სფეროს წარმომადგენლების კვალიფიკაციის ამაღლებას. კანონის უზენაესობა და მართლმსაჯულების სისტემის რეფორმა საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის დღის წესრიგისა და მდგრადი განვითარებისთვის გაეროს საქართველოსთან თანამშრომლობის გეგმის ერთ-ერთი პრიორიტეტია.

„უკვე არსებული მიღწევების გამოყენებით, მართლმსაჯულების სექტორი უფრო უნდა გაძლიერდეს, რომ საქართველოს მოსახლეობამ ყოველდღიურ ცხოვრებაში მეტი სარგებელი მიიღოს აღნიშნული ძალისხმევით მიღწეული შედეგებისგან. ჩვენ ვაერთიანებთ ძალისხმევას, რომ ყველა ადამიანისთვის გაუმჯობესდეს მართლმსაჯულების და სამართლიანი სასამართლოს ხელმისაწვდომობა, დაცული იყოს ადამიანის უფლებები და სამართლებრივი ინტერესები. მოხარულები ვართ, რომ საქართველოს ინსტიტუციები ვალდებულებას იღებენ, აქტიურად ჩაერთონ ამ პროექტში, რასაც ახორციელებს გაეროს ბავშვთა ფონდის და გაეროს განვითარების პროგრამის ერთობლივი გუნდი“ – განაცხადა ევროკავშირის ელჩმა საქართველოში **იანოშ ჰერმანმა**.

„მართლმსაჯულება და ადამიანის უფლებები უდევს საფუძვლად ორ უმთავრეს საერთაშორისო შეთანხმებას, რომლებმაც უნდა განსაზღვრონ საქართველოს განვითარება მომდევნო წლებში: ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება და მდგრადი განვითარების მიზნები. გაერო მიესალმება საქართველოს მტკიცე ვალდებულებას, რომ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგას ეფექტიანი და ხელმისაწვდომი მართლმსაჯულების სისტემისკენ. ვამაყობთ, რომ ევროკავშირთან, მთავრობასთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან და საქართველოს ხალხთან ერთად ვეხმარებით ქვეყანას ამ მიზნით მიღწევაში“ – აღნიშნა **ნილს სკოტმა**, გაეროს ხელმძღვანელმა საქართველოში.

პროგრამის ფარგლებში გაძლიერდება იურიდიული დახმარების სამსახური იმისთვის, რომ უფრო მეტ ხალხს შეეძლოს კვალიფიციური იურიდიული დახმარების მიღება; გაიზრდება ამ სფეროს პროფესიონალთა დამოუკიდებლობის და ეფექტიანობის ხარისხი, რაც ხელს შეუწყობს მოსახლეობის, განსაკუთრებით კი მოწყვლადი ჯგუფების, ხარისხიან იურიდიულ დაცვას; ქვეყნის მასშტაბით, უზრუნველყოფილი იქნება დავების ალტერნატიული გადაწყვეტის მექანიზმების, როგორიცაა არბიტრაჟი და მედიაცია, უფრო ფართოდ გამოყენება.

იუნისეფის წარმომადგენელი საქართველოში **საშა გრაუმანი** მიიჩნევს, რომ *„შარშან მიღებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ახალი კოდექსი ქმნის ფართო სამართლებრივ ჩარჩოს და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა შესაბამისობაში მოჰყავს საერთაშორისო სტანდარტებთან. ევროკავშირის მხარდაჭერით დაწყებული პროექტი უზრუნველყოფს კოდექსის ძირითადი პრინციპების განხორციელებას პრაქტიკაში და ხელს შეუწყობს მართლმსაჯულების სისტემაში ბავშვების ინტერესების გათვალისწინებას. ასევე არსებითია კოდექსის ძირითადი პრინციპების ერთნაირი გაგება, სამართლისა და სხვა სექტორების თანამშრომლობის გაღრმავება, მართლმსაჯულების სფეროს მუშაკების სპეციალიზაციის გაუმჯობესება და ხარისხის კონტროლისა და ბავშვის უფლებათა მონიტორინგის მექანიზმების გაძლიერება“.*

ასევე, დაგეგმილია: სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის ეროვნული კანონმდებლობის გადასინჯვა ბავშვთა უფლებების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად; მართლმსაჯულების სისტემაში მყოფი ბავშვების შესახებ სრულყოფილი მონაცემთა ბაზის შექმნა; ბავშვის უფლებათა მონიტორინგის და ხარისხის უზრუნველყოფის უწყებრივი მექანიზმების გაძლიერება; მართლმსაჯულების სისტემაში ბავშვებისთვის უკეთესი გარემოს შექმნა; სისხლის და სამოქალაქო სამართლის სისტემის სპეციალიზაცია და სპეციალიზებული პროფესიონალების კვალიფიკაციის ამაღლება; კანონთან კონფლიქტში მყოფი და დაზარალებული ან მოწმე ბავშვებისა და სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოებაში მონაწილე ბავშვების ინფორმირება მათი უფლებების შესახებ.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის მოადგილემ **თამარ ხულორდავამ** აღნიშნა, რომ სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტროსთვის, რა თქმა უნდა, პრიორიტეტად რჩება ბავშვზე ორიენტირებული და მის ინტერესებზე მორგებული მართლმსაჯულების სისტემის დახვეწა და დანერგვა და განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსზე, რომელიც მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯად შეაფასა.

კვალი ნათელი

ილია ფერაძე
1866–1928

1866 წლის 10 ივლისს შორაპნის მაზრის სოფელ ნებოძირში (ახლანდელი ხარაგაულის რაიონი) დაიბადა ცნობილი ქართველი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე **ილია ივანეს ძე ფერაძე**. მისი მამა, ივანე პავლეს ძე ფერაძე, სოფელ ნებოძირის მღვდელი იყო. მას ორი ძმა ჰყავდა – სიმონი და დარისპანი. სწორედ ერთ-ერთი ძმის, სიმონის შვილიშვილი იყო ცნობილი მეცნიერი და პედაგოგი, არქიმანდრიტი გრიგოლ ფერაძე, რომელიც საქართველოს ეკლესიამ წმინდანად შერაცხა.

8 ნლის ილია ფერაძე მშობლებმა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში შეიყვანეს, რომელსაც იგი წარმატებით ამთავრებს 1882 წელს. ამავე წელს შედის თბილისის სასულიერო სემინარიაში, სადაც სამაგალითოდ ითვლებოდა. სემინარიის სხვა მოწაფეებთან – შიო არაგვისპირელთან, იოსებ ლაღიაშვილთან, ზოტიკე ჩიკვილაძესა და სხვებთან ერთად, ილია ფერაძე მონაწილეობდა არალეგალური ხელნაწერი ჟურნალის „ყვავილი“ გამოცემაში. თანამედროვეები იგონებენ საგულისხმო შემთხვევას, როდესაც სემინარიის ხელმძღვანელობამ შეიტყო ჟურნალის არსებობა და მოითხოვა იგი, ილია ფერაძეს ერთ ღამეში გაულექსავს ფსალმუნები და მიურთმევია რექტორისათვის. ამით მან ააცდინა ხიფათს ხელნაწერი ჟურნალის გამოცემის თაოსნები.

1889 წელს, სემინარიის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, ილია ფერაძე, კურსდამთავრებულთაგან ერთადერთი, სწავლის გასაგრძელებლად, სახელმწიფო ხარჯზე, კიევის სასულიერო აკადემიაში იგზავნება.

1860-იან წლებში ამავე აკადემიაში სწავლობდა იაკობ გოგებაშვილი, მაგრამ მძიმე ავადმყოფობის გამო, დროზე ადრე, ხარისხის მიუღებლად, დაბრუნდა საქართველოში.

კიევში ილია ფერაძეს შესაძლებლობა მიეცა გასცნობოდა თანამედროვე მეცნიერების, პედაგოგების, საზოგადო მოღვაწეების შრომებს. აკადემიის სიტყვიერების დარგს იგი ამთავრებს კანდიდატის ხარისხით, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო მოსწავლე. მისი საკანდიდატო შრომა იყო „ივერიის ეკლესია წმ. დავით აღმაშენებლის დროს“. აკადემიის კურსის დასრულების შემდეგ, 1893 წელს, ილია ფერაძე მასწავლებლად ინიშნება გორის სასულიერო სასწავლებელში.

1896-1907 წლებში ილია ფერაძე მასწავლებლად მუშაობდა თბილისის სასულიერო სემინარიასა და ქალთა საეპარქიო სასწავლებელში, აგრეთვე ვაჟთა მეორე გიმნაზიაში, სადაც ქართულ ენას და დიდაქტიკას ასწავლიდა. იმ დროიდან აქტიურად ებმება საზოგადოებრივ-პედაგოგიურ მოღვაწეობაში. თავისი დროის პედაგოგებს შორის ილია ფერაძეს ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი ეჭირა და საკმაოდ კარგი ავტორიტეტით სარგებლობდა. ამას ხელს უწყობდა საგნის ღრმა ცოდნა, ფართო ზოგადი განათლება და ის კეთილშობილური თვისებანი, რაც ასე დამახასიათებელი იყო მისთვის, როგორც მასწავლებლისა და მოქალაქისთვის.

ილია ფერაძე აქტიურად მონაწილეობდა მე-19 საუკუნის დასასრულისა და მე-20 საუკუნის დამდეგის საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში; იყო მოზარდი თაობის არა მარტო რიგითი აღმზრდელი-მასწავლებელი, არამედ ავტორი მთელი რიგი სახელმძღვანელო წიგნებისა და ლიტერატურულ-პუბლიცისტური, პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური, კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიული და სხვა ხასიათის ნაშრომებისა.

ქართული პედაგოგიური აზროვნების განვითარებისათვის უეჭველად მნიშვნელოვანი იყო პედაგოგიკის ისტორიის საკითხებისადმი მიძღვნილი ილია ფერაძის წერილების ციკლი (უძველეს დროიდან ვიდრე მე-5 საუკუნემდე (ჩ.ნ.ა.), რომელიც ჟურნალ „მწყემსში“ ქვეყნდებოდა. წერილებში გადმოცემული იყო ბავშვთა აღზრდის ისტორია ჩინეთში, ეგვიპტეში, ინდოეთში, ებრაელთა შორის, საბერძნეთში, სლოვაკეთში; სწავლა-აღზრდის საქმეზე ქრისტიანობის ზეგავლენის საკითხები და სხვ. ჯერ კიდევ კიევის სასულიერო აკადემიაში სწავლისას ჟურნალ „მწყემსში“ გამოქვეყნდა მისი საყურადღებო წერილი „ამოს კომენსკი და მისი პედაგოგიური მოღვაწეობა“, სადაც გაშუქებული იყო დიდი ჩეხი პედაგოგის ძირითადი პედაგოგიკური შეხედულებანი და დიდაქტიკური პრინციპები; დახასიათებული იყო ეპოქა, რომელშიაც წარმოიშვა კომენსკის პედაგოგიკური სისტემა, მისი მოწინავე პროგრესულ-პედაგოგიკური იდეები.

სხვა მოწინავე ქართველ პედაგოგებთან ერთად, რევოლუციამდელ პერიოდში, ილია ფერაძე აქტიურად იბრძოდა ეროვნული კულტურის ინტერესების დაცვის, მშობლიურ ენაზე სწავლა-განათლების გავრცელების, მოზარდი თაობის სწორ პედაგოგიურ საფუძველზე აღზრდის სასარგებლოდ. ამ მხრივ, იგი იაკობ გოგებაშვილის პროგრესული პედაგოგიკური იდეების დამცველი და გამტარებელია. სწორედ ამ ნიადაგზე უხდებოდა მას შეჯახება ეგზარხოსებთან და სხვა სასულიერო პირებთან, რომელთა ხელში იყო, მეტწილად, მაშინ სწავლა-განათლების საქმე. არაერთი წერილი აქვს მიძღვნილი ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის მედროშეების – ილიას და აკაკის მიმართ. სწორედ ილიასადმი დიდი მოწიწების და სიყვარულის გამო, მისი დიდი ავტორიტეტისა და მრავალმხრივი მოღვაწეობისათვის, თანამედროვენი (მიუხედავად დიდი სიმაღლისა, იგი 2 მეტრზე მეტისა იყო), მას „პატარა ილიას“ და „ბატონ ილიას“ ეძახდნენ.

1900-იან წლებში შავრაზმელი რეაქციული პოლიტიკით განსაკუთრებით ცნობილი იყო ქართლ-კახეთის საეპარქიო სკოლის მეთვალყურე დეკანოზი ვოსტორგოვი, რომელთანაც ილია ფერაძეს სასტიკი შეჯახება მოუხდა. მან პრესაში დაუნდობლად ამხილა მისი რეაქციული პოლიტიკის გაიძვერული ბუნება. ვოსტორგოვი იყო ერთ-ერთი ინიციატორთაგანი იაკობ გოგებაშვილის „რუსკოე სლოვოს“ აკრძალვისა 1900-იან წლებში. ქართველი ახალგაზრდობისათვის ეს იყო ერთადერთი სწორად შედგენილი სახელმძღვანელო, რომლის საშუალებით ახალგაზრდობა ადვილად ითვისებდა რუსულ ენას. გოგებაშვილი რუსული ენის შესწავლისას მშობლიური ენის გამოყენებას სავალდებულოდ და პედაგოგიურად სავსებით გამართლებულად მიიჩნევდა. ვოსტორგოვი და მისი ჯგუფი ეწინააღმდეგებოდნენ ამ პრინციპს და მოითხოვდნენ ყოველგვარი მშობლიურის, ნაცნობი ენობრივი ელემენტების განდევნას რუსული ენის შესწავლის პროცესში. ეს იყო ქართველთა გარუსების ყველაზე რეაქციული შავრაზმული პოლიტიკა. 1905 წელს, „ივერიის“ დამატებაში, გამოქვეყნდა ილია ფერაძის საკმაოდ ვრცელი კრიტიკული რეცენზია ცნობილი რეაქციონერის, კორხანიდის რუსული ენის სახელმძღვანელო წიგნზე („Живое Слово“), რომელიც გოგებაშვილის „Русское Слово“-ს ნაცვლად გამოიცა. გამცემლურ-ფარისევლური ფაქტით აღშფოთებული, „ივერიის“ ფურცლებზე, იგი მოურიდებლად ამხელს რუსიფიკატორული პოლიტიკის აღვირახსნილ დამცველებს და მტკიცედ იცავს გოგებაშვილის შეხედულებებს რუსული ენის შესწავლაში მშობლიური ენის გამოყენების აუცილებლობის შესახებ. ამ წერილმა აღაშფოთა ქართული საზოგადოება და ხელი შეუწყო მათ დარაზმვას ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ.

1890-იან წლებში, ილია ფერაძე დიდხანს იყო თბილისის საეკლესიო მუზეუმის კომიტეტის მდივანი, აქტიურად მონაწილეობდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობაში. თბილისის სასულიერო სემინარიასთან, სემინარიის მოსამსახურეთათვის, დაარსდა საკვირაო სკოლა, რომლის გამგეობაც ფერაძეს დაევალა. 1899 წელს საქართველოს ეგზარხოსმა იგი მცხეთის წმ.ნინოს დედათა მონასტრის 4-კლასიანი საქალებო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგედ დანიშნა.

მე-19 საუკუნეში, რუსეთის მთავრობის მიერ აკრძალული იყო იმპერიაში ეროვნული საზოგადოებების შექმნა, ისევე როგორც ქართულად წირვა-ლოცვა ავტოკეფალიაწართმეულ ქართულ ეკლესიებში, მაგრამ მოწინავე ქართველი ინტელიგენციის მეცადინეობით ტარდებოდა მთელი რიგი ღონისძიებები ეროვნული ენის და კულტურის გადასარჩენად. მათ შორის იყო 1897 წელს გამართული საზაფხულო საპედაგოგო კურსები თბილისში, რომლის მუშაობაშიც აქტიურად მონაწილეობდა ილია ფერაძე, კითხულობდა ლექციებს ქართულ ენაში, დიდაქტიკაში, პედაგოგიკაში („ივერია“, 1897).

1898 წელს, ქაშუეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, დიდმარხვის ყოველი კვირის საღამოს, დეკანოზ მარკოზ ტყემალაძის მიერ დაუჯდომელის წირვის ჩატარების შემდეგ, სამისიონერო სასულიერო განათლების ძმობის მიერ ეწყობოდა საეკლესიო საუბრები, სადაც მრავალრიცხოვან მრევლს, ილია ფერაძე ქართულ ენაზე უტარებდა საეკლესიო საუბრებს წმინდანების ცხოვრების შესახებ („ივერია“, 1898).

1900 წელს პეტერბურგიდან დაბრუნებულმა ექვთიმე თაყაიშვილმა შექმნა „საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურის მოყვარულთა წრე“, რომლის მუშაობაში მონაწილეობდა მოწინავე ინტელიგენცია, მათ შორის ილია ფერაძეც. 1905 წლის რევოლუციით შემდრკალი ცარიზმი იძულებული გახდა, გაეუქმებინა ზოგიერთი არაარსებითი აკრძალვა. იმპერიის სათათბიროს დადგენილებით დაუყოვნებლივ ისარგებლა ექვთიმე თაყაიშვილმა და, 1907 წლის 30 ივნისს, დააფუძნა „საისტორიო-ეთნოგრაფიული საზოგადოება“. საზოგადოების თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ექვთიმე თაყაიშვილი, მუზეუმ-ბიბლიოთეკის მცველად კი – ილია ფერაძე. საზოგადოება ფართო მოღვაწეობას შლის მთელ საქართველოში და წლების მანძილზე იგი მასობრივ ეროვნულ ორგანიზაციად იქცა. აღსანიშნავია, რომ ამ საზოგადოების საპატიო წევრი იყო აკაკი წერეთელი.

1908 წლიდან ილია ფერაძე მიჩნეულ იქნა პოლიტიკურად საეჭვო პიროვნებად და, პედაგოგიური ასპარეზიდან ჩამოცილების მიზნით, „გადაგდებულ იქნა“ პროვინციაში. აქედან იწყება მისი პედაგოგიური მოღვაწეობის ბათუმის პერიოდი, რომელიც 10 წელს მოიცავს. ამ წლებში იგი აჭარის სახალხო სკოლების ინსპექტორად მუშაობდა და ბათუმის ქალთა და ვაჟთა გიმნაზიებში ასწავლიდა.

ბათუმის გაზეთებში გამოქვეყნდა მისი საყურადღებო წერილები: „ქართული ენის ბედი ბათუმის ორ სასწავლებელში“, „ფიზიკური აღზრდის თაობაზე“ და სხვ. 1916 წელს ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“ ქვეყნდებოდა წერილების ციკლი საერთო სათაურით: „წერილები მეგობართან: ქართველი მუსულმანების შესახებ“, „ქართველ მაჰმადიანთა კაცთმოყვარეობა“ და სხვ.

ბათუმის შემდგომ მან ოთხი წელი დაჰყო ოზურგეთის გიმნაზიის დირექტორის თანამდებობაზე (1918-1922 წწ). შემდეგ მუშაობდა ხაშურში ჰუმანიტარული ტექნიკუმის გამგედ (1922-1924), საიდანაც სამუშაოდ კახეთში გადავიდა. აქ ილია ფერაძე ველისციხის საშუალი სკოლის დირექტორად (1924-1925 წწ) დანიშნეს. ერთი წელი მოღვაწეობდა სიღნაღში, პედაგოგიური ტექნიკუმის გამგედ (1926-1926წწ). 1926 წელს დაბრუნდა თბილისში და მასწავლებლობდა დედაქალაქის სხვადასხვა სკოლებსა და უნივერსიტეტში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ილია ფერაძის ნაყოფიერი ლიტერატურული მოღვაწეობა. მისი მეცნიერულ-პედაგოგიური სტატიები, მოთხრობები, ლექსები, პოემები და კრიტიკული წერილები უხვადაა გაბნეული მე-19 საუკუნის უკანასკნელი ათწლეულისა და მე-20 საუკუნის პირველი მეოთხედის ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. ეს პუბლიცისტური მასალები ქვეყნდებოდა სხვადასხვა ლიტერატურული ფსევდონიმებით: ინ-ფარი, ფარი, თეზბიტელი, ნებოძირელი, ილ. ჩხერიმელისპირელი, იმედიანი, ჩაქუჩი და სხვ.

მის კალამს ეკუთვნის სკოლების სახელმძღვანელოდ შედგენილი „საქართველოს მოკლე ისტორია“ (1918), „გიორგი ერისთავი და ქართული თეატრი“ (1919), ქართული ენის სახელმძღვანელო „ენის დაკვირვება“ (ილია სიხარულიძესთან ერთად, 1927), „ფსიქოლოგიის გამოყენება სწავლების დროს“ (თარგმანი რუსულიდან, სახელმძღვანელო პედაგოგებისათვის).

ილია ფერაძის პროზაული ნაწარმოებები, რომლებიც ხშირად ქვეყნდებოდა პერიოდულ პრესაში დიდაქტიკური ხასიათისა იყო, იბეჭდებოდა ნაწყვეტ-ნაწყვეტ და მკითხველი მოუთმენლად მოელოდა შემდეგ ნომერში გაგრძელებას. საქართველოს ისტორიის საკითხებს ეძღვნება წერილები: „ისტორიული შენიშვნები ქართველებისა და სომხების ურთიერთობის შესახებ“, „საქართველოს მეფე დავით აღმაშენებელი“, „მეფე გიორგი მეთორმეტის ტახტზე ასვლა“, „აბიბოს ნეკრესელი“, „დიდი მოწამე ქეთევან, კახეთის დედოფალი“, საყურადღებოა ქართული მწერლობისადმი მიძღვნილი ვრცელი წერილები.



კვალი ნათელი

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ილია ფერაძის საბავშვო ნაწერები, ლექსები, პოემები, მოთხრობები, რომლებშიც დიდაქტიკური ელემენტები ორგანულად ერწყმის მხატვრულ რეალიზმს და მოზარდებს შთააგონებს სულიერებას, ჰუმანურობას, სამშობლოსადმი სიყვარულსა და თავდადებას.

ილია ფერაძის კალამს ეკუთვნის სასკოლო ჰიგიენისა და ფსიქოლოგიის, მოზარდის ფიზიკური აღზრდისათვის სპორტის მნიშვნელობის, პროფესიული განათლების შემოღებისა და სხვა საკითხებზე დაწერილი მთელი რიგი საყურადღებო სტატიები, რომლებიც ქვეყნდებოდა ჟურნალ „განათლებაში“, 1910-14 წლებში. ეს საკითხები ავტორს დამუშავებული აქვს, იმ დროს არსებული, მოწინავე ევროპული სამედიცინო-ფსიქოლოგიური ლიტერატურის ფართო გამოყენებით და შეიცავს ბავშვთა ჰიგიენის დაცვის უზრუნველსაყოფად მთელ რიგ საინტერესო მასალას.

სიცოცხლის უკანასკნელ ხანებში ილია ფერაძე მუშაობდა სახელმწიფო უნივერსიტეტის მუშფაკში, სადაც ქართულ, რუსულ, ლათინურ ენებს, დიდაქტიკას, ფსიქოლოგიასა და ლოგიკას ასწავლიდა.

ილია ფერაძე გარდაიცვალა 1928 წლის 4 აგვისტოს.

P.S. შვილიშვილის მინაწერი!

ეს ბიოგრაფია შედგენილია ილია ფერაძეზე ადრე დაწერილი სტატიებიდან და ჩემ მიერ გამოცემული მისი ნაშრომების კრებულიდან „რჩეული პუბლიცისტიკა“. მისი ნაშრომების შესწავლა, ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში, მისი ცნობილი პედაგოგის, ბატონი უშანგი ობოლაძის რჩევით, დაიწყო შესანიშნავმა ფილოლოგმა და პედაგოგმა, ქალბატონმა ლიანა ფერაძემ. მრავალწლიანი დაუღალავი შრომით მას მოუწია XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისის პრესის გადახედვა და შესწავლა სხვადასხვა ბიბლიოთეკებსა და არქივებში. შემდეგ ეს ბიბლიოგრაფია გადმომცა მე და მოვახერხე ამ მასალების კოპირება, შეგროვება და მცირედი შემოკლებით ერთ წიგნად გამოცემა. ხოლო ამ უნიკალური ბიბლიოგრაფიის სრული ელექტრონული ვერსია ამჟამად ჩემთან ინახება. სამწუხაროდ ლიანა ფერაძე ვერ მოესწრო ამ წიგნის გამოცემას.

ილია ფერაძეს 5 შვილი ჰყავდა და, მამის ავტორიტეტის გავლენით, ხუთივე პედაგოგი გახდა.

წელს, 10 ივლისს, სრულდება 150 წელი ილია ფერაძის დაბადებიდან და ეს წერილიც გამორჩეული პედაგოგისა და მოქალაქის გახსენების მოკრძალებული მცდელობაა.

პროფესორი ილიკო ფერაძე

იუბილე

განვლილი გზის შეხსენების დღე

21 ივნისს, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, ბატონი გრივერ ფარულავას 80 წლის იუბილე აღინიშნა. დარბაზი სტუმრებს ვერ იტევდა, არ იგრძნობოდა სხვაობა ახალგაზრდათა და მხცოვან მოქალაქეთა რიცხოვნობაში, თითქოს დრო და ხანი წაეშალა ბატონი გრივერის ცნობადობის პირობას. საერო და სასულიერო პირთა ასეთი ერთობა, ერთი მუხტითა და ერთი ემოციით სისავსე სხვა დროს არც გვინახავს. ჩვენ წინაშე იდგა კელაპტარივით ანთებული, ქართული კეთილშობილებით სავსე ბატონი გრივერი და კიდევ ერთხელ შეგვახსენებდა თავის უმთავრეს სურვილს: „ვოცნებობ ქართულ საქართველოზე!“

ბატონი გრივერის სახელი ქართულ მეცნიერებასა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტთანაა გაიგივებული. კეთილი საქმის კეთება არასდროს იყო ადვილი: გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან საუნივერსიტეტო ცხოვრებაში ბატონ გრივერს არაერთხელ მოუხდა „ხილულ თუ უხილავ“ მტერთან შებრძოლება, დაამარცხა კიდეც, დათმენის საოცარი ნიჭით დაჯილდოებულმა ქრისტიანული სიმართლით ამხილა ბოროტება და ახალგაზრდებს სამაგალითოდ გვიჩვენა უღირსთა მშვიდობიანად დამარცხების შესაძლებლობა.

საღამოს ესწრებოდნენ: **ლაურა გრიგალაშვილი** – პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი; **მეუფე დანიელი** – საჩხერისა და ჭიათურის მიტროპოლიტი; **პროტოპრესვიტერი გიორგი (ზვიადაძე)** – ფილოლოგიის დოქტორი, ღვთისმეტყველების დოქტორი, პროფესორი, თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორი; **ელგუჯა ხინთიბაძე** – პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი; **გვანცა კოპლატაძე** – პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი; **ავთანდილ არაბული** – პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი; **დოდო ღლონტი** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი; **თამაზ ჯოლოგუა** – პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი; **ხათუნა ნიშნიანიძე** – დოქტორანტი, თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის პედაგოგი; **ქეთევან მამასახლისი** – ფილოლოგიის დოქტორი, თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის პედაგოგი; **მანანა ტუსკია** – პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი.

მოწვეულ სტუმრებს საჩუქრად გადაეცათ საგანგებოდ ამ დღისთვის დაბეჭდილი გამოკვლევა „ჰაგიოგრაფია – ხელოვნება ხელოვნების შესახებ“, რაც სიმბოლურად ასახავს კიდეც ბატონი გრივერის – მოღვაწის, მეცნიერის, შემოქმედის სულიერ პორტრეტს.

ეს ნათელი დღე ბატონი გრივერ ფარულავას პიროვნების აღიარებისა და მისი განვლილი გზის შეხსენების დღე იყო. საღამოს დასასრულს ვიხილეთ ბატონი გრივერის შემოქმედებითი საქმიანობის ამსახველი კოლაჟი, ხანძთაში დიდი მამის გრიგოლ ხანძთელის ნაკვალევზე სლვა – აი, ის პირობა, რაც ფასეულია ღვაწლმოსილი მეცნიერისთვის.

ხათუნა ნიშნიანიძე: *„ადამიანის ბედნიერების საფუძველი ისიც შეიძლება იყოს, რომ განგება ღირსეულ მოძღვარს განუჩინებს. ბატონი გრივერი ჩემი მოძღვარ-მასწავლებელიცაა.*

რეგალიათა და პატივთადმი გულგრილს მასწავლებლის ტიტული ყველაზე მეტად ეძვირფასება. მისი ლექცია-სემინარები, შეხვედრები აზრისა და სიტყვადქმნადობის ნიმუშია, „სადაც ჰაეროვნულ იფინება ზემიწიერი...“

მისი წიგნები, სამეცნიერო სტატიები თუ პუბლიცისტიკა გზამკვლევია ძველი ქართული პროზის ბუნებისა და ზოგადად, ქართული ლიტერატურის სახეობრივ-სიმბოლური ანალიზისას.

საოცარი სითბო, გულითადობა და უშუალობა გამოარჩევს. მის გვერდით ყოფნა ძალიან კომფორტულია. არასოდეს დაუდევს ზღვარი ასაკობრივი, ინტელექტუალური, წოდებრივი. მხნე, შემართული და ოდნავ აჩქარებული ნაბიჯით მიუძღვება ყველას, ვინც თავის თანამებრძოლად და თანამდგომად უჩანს.

ხშირად გაოცებულვარ რა სიმსუბუქით, უბრალოებით შეუძლია ადამიანების დახმარება, ნუგეშისცემა. დემოკრატიზმი, რაც დღეს ასე მოდური, მაგრამ ხშირად შინაარსს მიღმა მდგარი ცნებაა, მისი ბუნებითი მახასიათებელია.

ხშირად ყოფილა ბატონი გრივერის ოჯახი ერთობისა და შეკრებულობის (როგორც თვითონ უყვარს თქმა) ადგილი. სადაც სახარებისეული მართას გულუხვობითა და სითბოთი გვმასპინძლობდა დეიდა მზია.

თითქმის 25 წელია სასულიერო აკადემიაში ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრას ხელმძღვანელობს და არ მახსდენდება არა თუ საქმით, სიტყვით გულნატკენი კაცი. ალბათ იმიტომ, რომ „სიყვარული სულგრძელი არს და ტკბილ... სიყვარული არა მაღლოინ, არა განლაღნის“. სინამდვილეს, ყოფიერებას მშვენიერებად აღიქვამს და გარდაქმნის, თანაც მხოლოდ მისთვის ჩვეული ბუნებრივი არტისტიზმითა და მომხიბვლელობით.

ამიტომაც შევიყვარეთ მისი მონათხრობებიდან ზღაპრული სითბოთი და უშუალობით აღქმული და მითოსური სიდიადით დანახული რიონი და ნარიონალები, გურიისა და იმერეთის საზღვარზე მდებარე სოფელი საჯავახო. მსუბუქი იუმორით გაჯერებული ამბები კავთისხეველ თუ საჯავახოელ მეზობლებზე. სამშობლო ამითაც შეგვაყვარა.

ხშირად ვყოფილვართ მომსწრენი, „თუ მიზეზთა მრავალფერთა ზრუნვათაითა“ როგორ „დაეხწრებოდა“ უმთავრეს საქმეს – სამეცნიერო შრომას, მაგრამ პავლე მოციქული ხომ ამბობს: „და მაქუნდეს ღათუ წინასწარმეტყველებაი და უწყოდი ყოველი საიდუმლოი და ყოველი მეცნიერებაი და სიყუარული თუ არა მაქუნდეს, არა-ვე-რაი ვარ“.

მშობლის დაუწერელი ანდერძის მსახურმა გრიგოლ მეგრელიშვილის პოეზია გაგვიცოცხლა. ლიტერატურის კვალობაზე შეგვაგრძნობინა ადამიანური არსებობის ჯვარსახოვნება. გაგვმსჭვალა ქრისტიანული აზრით, რომ რეალური და იდეალური ადამიანური არსებობის მოუცილებელი თვისებაა, რომ იდეალთან ზიარება წარმოუდგენელია თვინიერ ტანჯვა-წამების გზისა. ამის მსგავსად, ბატონი გრივერ ფარულავას მიერ გამოთქმული უამრავი აზრი და შეხედულება ერთგვარი ფორმულების სახით დამკვიდრდა ჩვენს საზროვნო სივრცეში.“

ქეთევან მამასახლისი: *„მე, როგორც ბატონ გრივერ ფარულავას უნარჩევესი მოწაფე, ჩემი და ჩემი მეგობრების განცდების და სურვილების გადმოცემას შევეცდები.*

პირადად მე წილად მხვდა ბედნიერება, რომ ბატონი გრივერის სტუდენტი ორგზის ვყოფილიყავი: ჯერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და შემდეგ სასულიერო აკადემიაში. ვყოფილიყავი ასევე მისი ასპირანტი. ამასთან უკვე 16 წელია , რაც თბილისის სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრაზე მისი თანაშემწე ვარ.

მე და ჩემი თაობა 90-იანი წლების უნივერსიტეტელები ვართ. იმ ნაცრისფერ წლებში ბატონი გრივერის ლექციები, რომელიც წმ. წერილის ტექსტის საფუძვლიანი შესწავლით იწყებოდა, ჩემთვის და ჩემი მეგობრებისთვის სულიერი დაბადების ტოლფასი იყო. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ბატონი გრივერი ჩვენთვის მხოლოდ პედაგოგი არ იყო და ასეა დღემდე... ის იყო ჭეშმარიტი მოძღვრის ნიმუში, რომელმაც თავისი მადლიანი სიტყვის ძალით შეძლო რადიკალურად შეეცვალა ჩვენი ცხოვრება. ჩვენ, 18-20 წლის გოგო-ბიჭები, მის ლექციებს არა მარტო სასწავლო განრიგით გათვალისწინებულ საათებში ვესწრებოდით, არამედ ყველგან, სადაც კი ამის საშუალება მოგვეცემოდა. მიზეზი მისი ლექციების მოსმენის ასეთი წყურვილის იყო ის, რომ ბატონი გრივერი ჩვენს გულებში ღვთის სიტყვას ნერგავდა.

მის ლექციებზე წმ. გრიგოლ ხანძთელის, ათონელი მამებისა და თუ სხვა მოღვაწეთა ცხოვრების მაგალითზე ჭეშმარიტ ფასეულობებს ვეზიარებოდით. მან დაგვანახა და შეგვამეცნებინა, რომ ადამიანის ჭეშმარიტი თავისუფლება მიწიერ სურვილებზე უარის თქმა და მოკვეთა იყო და არა პირუკუ. მოძღვარსა და მოწაფეებს შორის ურთიერთობების გაცნობით მოყვასის სიყვარულს, სიმდაბლისა და მორჩილების სათნოებებს ვსწავლობდით. სწორედ მისგან გავიგეთ და ვისწავლეთ, რომ თითოეული ჩვენგანი ყოველდღიურად ჩვენი ცხოვრების წესით, ჩვენი არჩევანით ვუახლოვდებოდით ან ვშორდებოდით უფალს.

ბატონმა გრივერმა, წმინდანთა ცხოვრების წესის გაცნობით, სულისმარგებელი რჩევებით გვასწავლა, როგორ გაგვერჩია ჭეშმარიტი ფასეულობები ფსევდოფასეულობებისგან. მისი მადლიანი სიტყვით ფრთაშესხმულნი ვცდილობდით, ქრისტიანული ცხოვრების ტკბილ და იწრო გზაზე ჩვენი პირველი ნაბიჯები გადაგვედგა. დამეთანხმებიან ჩემი მეგობრები, რომელთაგან გამორჩეულნი, დღეს ჩვენი დედა ეკლესიის მსახურნი არიან, რა გავლენა იქონია ბატონმა გრივერ ფარულავამ პირადად მათი ცხოვრების გზის არჩევანზე.

განსაკუთრებული პედაგოგი, მკაცრი სიყვარულის და მიუკერძოებელი ადამიანის ნიმუში, ჩვენი ლხინის თუ ტკივილის გულწრფელი მოზიარე, განსაცდელის ჟამს საუკეთესო მრჩეველი და დამრიგებელი – ასეთია გრივერ ფარულავა ჩემთვის, მისი ერთ-ერთი მოწაფისათვის, რომელსაც მასთან უკვე 25 წელზე მეტი ხნის ახლობლობა აკავშირებს. მადლობა მას, ყველა იმ სიკეთისთვის, რომელსაც ასე უშურველად გასცემდა და დღემდე გასცემს.“

„რატომ და რისთვის მოვედი ლიტერატურაში? ცოტა რამ მახსოვს... ცხადია, მხიბლავდა ბუნების სილამაზე – მთა, ბარი, წყალი, მდინარე, სოფელი, სადაც ბედნიერების გამო კი არა, ცუდი რამის გამო მოვხვდი; დაიჭირეს მამაჩემი, ბიძაჩემი, ბაბუაჩემი. მივატოვეთ თბილისი და სოფელში გადავედით, საჯავახოში. იქ მდინარე რიონი ჩამოდის ჩვენს სიახლოვეს, ეზოდან 50 მეტრში, მეორე მხარეს ტყე იყო, ჩემი სახლიდან 200 მეტრში. ვუყურებდი ამ მშვენიერებათა სამყაროს და ძალიან მომწონდა; იმნაირად, რასაც მშვენიერებით ტკბობა ჰქვია. ვგრძნობდი, ძალიან მშვენიერი იყო ვარდი, მდინარე, ტყე და სხვა ათასი რამ. მშვენიერება კი გამეგონა, მაგრამ ბევრი არაფერი მომეხსენებოდა მის შესახებ, სანამ უნივერსიტეტში არ მოვედი, სადაც ესთეტიკას გრიგოლ კიკნაძე და აკაკი გაწერელია მასწავლიდნენ. როდესაც კორნელი კეკელიძე და აკაკი შანიძე ბიბლიიდან ტექსტებს მოიხმობდნენ, იქ არაერთხელ შეგვხვდა სილამაზის გამოხატულება... მერე გრიგოლ ნოსელის ერთ ფრაზას წავაწყდი – „მშვენიერება ერთი რამ არს, რომლითაც მოგვეთხრობის ღმერთი“. და იმ დღიდან დავიწყე შეზავება, თუ ასეთი შეზავება სჭირდებოდა მას, ჩანჩქერისა თუ ვარსკვლავების სილამაზისა, ასე საინტერესო რომ ყოფილა თვით ბიბლიურ ტექსტშიც, ლიტერატურასთან. თანდათან, ლიტერატურის შესწავლის პარალელურად, სახარების და ძველი აღთქმის ფურცლებზეც ვეძებდი და ვნახულობდი მშვენიერებას. ასე მივედი ბუნების სილამაზიდან იმ სილამაზემდე, რომელსაც ყველაზე დიდი მასწავლებელი, ღმერთი გვასწავლის... და რაც მოსწონებია ჩემს მკითხველს თუ სტუდენტს აუდიტორიაში, ყველაფერი სილამაზის ამ ორი სამყაროდან იღებს სათავეს.

დიდი მადლობა ჩემს მეგობრებს, რომლებიც დიდნი და მცირენი, ყველანი ძალიან ძვირფასნი არიან ჩემთვის.“

გრივერ ფარულავა

მოამზადა **თამარ ბარისაშვილმა**

საუბრები ლიტერატურაზე

ამირანიანის „სამება“

ბიბლიური სიმბოლიკა „ამირანში“

„ამირანიანის“ სხვადასხვა ვარიანტში ალგეთის მთა მეათეა ან მეცამეტე. დევების ოჯახის მამამთავარი – ცხრა ძმა დევია.

„საყამაროსა კაბასა შვიდი დღე უნდა მზიანი.“

საკრალურ რიცხვთა სიმრავლით „ამირანიანი“ მართლაც საინტერესოა. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია, წყვილსა და ერთში დამალულმა, უთქმელმა სამეულმა.

მეათესა და მეცამეტეზე, ცხრასა და შვიდზე ბევრი რამის თქმა შეიძლება, ამ რიცხვთა ბიბლიურ-საკრალურობა ეჭვგარეშეა და ისინი პირდაპირ, ხაზგასმით გვაქვს მოცემული. შემალულ-შეფარულად „სამი“ მითის დასაწყისშივეა: სულკალმახს ცოლი და ორი ვაჟი ჰყავდა, ხოლო უფროსი ვაჟი უცხოეთში გადახვეწილიყო. უფროსი ვაჟის გადახვეწის გამო, „სამება“ ირღვევა, საჭირო ხდება ორის ისევ დასამება, გასამება. ეს მესამე ცალი მითიურად ჩნდება, ქალღმერთ დალის წიაღიდან.

წაიყვანა სულკალმახ მონადირემ ოქროსავით ვაჟი შინ. დედობილმა დარეჯანმა შვილებზე მეტად შეიყვარა იგი. „სამება“ შედგა. სამეული ისევ გაერთიანდა, გამთლიანდა, ერთარსებად იქცა:

„ბადრი ქალსა ჰგავს ლამაზსა, საქმარედ გამზადებულსა,
უსუპი ბროლის ციხესა, თავ-ბოლო გამაგრებულსა,
ამირან შავსა ღრუბელსა, საავდროდ გამზადებულსა“.

შევხედოთ სამეულის ცალკეულ დამახასიათებელ ნიშნებს, როგორც ერთი პიროვნების თვისებებს:

გარეგნობით – *„ქალსა ჰგავს ლამაზსა, საქმარედ გამზადებულსა“*, ჭკუა-გონებით – *„ბროლის ციხესა თავ-ბოლო გამაგრებულსა“*, ჯან-ღონით – *„შავსა ღრუბელსა, საავდროდ გამზადებულსა“*, თითქოს სამი ძმა ერთარსებაა, ყველა თვისებით შემკული.

როგორც აღინიშნა, ამირანი მოიაზრება სულკალმახის უფროსი ვაჟის ჩამნაცვლებლად. საინტერესოა, როგორი ნიშან-თვისების მატარებელია იგი? რა იდეური როლი აკისრია სამეულში? ისიც ჯან-ღონის სიმბოლოა თუ სხვა რაიმე თვისების? შეცვალა თუ ჩაანაცვლა ამირანმა სულკალმახის უფროსი ვაჟი?

სანადიროდ წასულ ძმებს უცხო მთაზე კოშკი ხვდებათ, საიდუმლო და შეუვალი: *„სადაც რომ მზემ სხივი დაჰკრა, ამირანმა მუხლი მგლისი“*, იქ შეიბა კოშკმა კარი და იდუმალების ფარდა გახსნა: „ლომი“, რომელიც კოშკში ასვენია, სწორედ ის ნიშანია, რაც პასუხს გვაძლევს ზემოთ დასმულ კითხვაზე. „ლომი“ ცამცუმი იმ უფროსი ძმის ვაჟია, ურომლისობამაც პირველქმნილი სამეული დააწყვილა.

ვნახოთ, როგორია გარდაცვლილი ცამცუმი, უსუპის ძმისწული:

„კოშკში ლომი წოლილიყო, გამნძრევ არვინ იყო მისი,
მარცხნივ რომ შუბი ეყუდა, წვერით ცასა სწვდება ისი“.

ამ ლომ-გმირის ანდერძი გვამცნობს:

„სანამ ვიყავ მტერი ვმუსრე, არ შევჭამე ჯავრი სხვისი,
მოვკვდი, მხოლოდ ჯავრი გამყვა ერთი დევი ბაყბაყისი“.

ვგონებ, ცამცუმის ფიზიკური შესაძლებლობები განსჯას აღარ საჭიროებს; აქვე გავაანალიზოთ მისიაც: *„სანამ ვიყავ მტერი ვმუსრე“* და *„ჯავრი ჩამყვა ერთი დევი ბაყბაყისი“* მიგვითითებს, რომ ცამცუმი დევთა დაუძინებელი მტერია. მას მხოლოდ ერთი დევის ჯავრი ჩაყვა, რადგან სხვა დევებს (მტერს) იგი ფიზიკურად გაუსწორდა (შემუსრა, გაანადგურა). ამირანის მისიაც სწორედ ესაა, იგი დევებთან მებრძოლი გმირია. დევი კი, ზოგადად, ბოროტების, უწმინდურობის, უსულგულო ძლიერების სიმბოლოა. ცამცუმისა და ამირანის მისია და ფიზიკური ძალა ერთნაირია. ხოლო ცამცუმი სწორედ იმ უფროსი ძმის ვაჟია, რომლის ფუნქციაც გვაინტერესებს. დიდი ალბათობით, ცამცუმი მამამისის მისიის გამგრძელებელი უნდა იყოს. დავიმოწმებ ხალხურ სიბრძნეს: *„კვიცი გვარზე ხტის“; „რაც მამა, ის შვილი“* და სხვა მისთანანი, რომლის ანალოგიც მრავალი ერის ზეპირსიტყვიერებაში მოიპოვება. აქედან გამომდინარე, ცამცუმი ღირსეული შვილია მამისა და ცხადია, ამირანის სახით, სამეულს სწორედ ის შემადგენელი ნაწილი, დეტალი (გნებავთ, ელემენტი) უბრუნდება, რომელიც აკლდა უფროსი ვაჟის გადახვეწის გამო.

ყურადსაღებია ის გარემოება, რომ ცამცუმი კოშკში ოჯახთან ერთადაა,ზოგ ვარიანტში მიცვალებულები უსვენია ირგვლივ, ხოლო ზოგში დედა და დები ან ცოლი ცოცხლები არიან და გლოვობენ მას. მამა კი არ ჩანს. თუმცა ანდერძი გვატყობინებს, რომ მამა ცოცხალია ან ჯერ არ დამარხულა *(„ვინც დედ-მამას დამიმარხავს...“)*.

ბუნებრივია, აქ მისი (სულკალმახის უფროსი ვაჟის) ცოცხლად დაბრუნება ამირანის ფუნქციას დააკნინებდა, ორი ერთნაირი, ორი იდენტური ერთ კონკრეტულ ასპარეზზე ვერ იარსებებდა.

ცამცუმის ჯავრი ამირანმა იყარა და ბაყბაყ დევი დაამარცხა. გავყვეთ დევის შიკრიკს ყამარ-ქალისკენ მიმავალ გზაზე: შიკრიკმა დაუსრულებლად ატარა ძმები, სანამ უსუპი (გონება) არ ჩაერია საქმეში. უსუპმა დანიშნა გზა და კვლავ ნიშანთან რომ მივიდნენ, ამირანს უთხრა:

„ვერ გაგიგია, ამირან, არ გამარჯვების ნიშანი,
მესამედ იქვე მოვედით, გუშინ რომ დავკარ ისარი“.

გაბრაზდა ამირანი და შიკრიკს შეუტია:

„შიკრიკო, გზანი გაიხვენ, თუ არ ხარ თავის მისანი,
თორე აგიღე გაგთალე, რო საკიდობნე ფიცარი“.

ამირანი ისეთი გულის კაცია, ამ დაუფიქრებელ მუქარას უცილოდ შეასრულებდა და გზას უფრო გაირთულებდა, მაგრამ მუქარამ შედეგი გამოიღო, შიკრიკმა ძმები ტრიალ მინდორზე გაიყვანა.

ამ ეპიზოდში კარგად ჩანს ამირანის გულფიცხობა, დაუფიქრებლობა. ამირანს გამჭრიახობით არა მარტო უსუპი ჯობნის, რომელიც გონების, აზროვნების სიმბოლოა, არამედ ყამარიც (გავიხსენოთ ქაჯთ ხელმწიფისა და ამირანის ბრძოლა, სადაც ამ არამიწიერი ღონის პატრონს ქალის რჩევა-ჩარევა, დახმარება ესაჭიროება. ყამარი მინიშნებას აძლევს: *„დაბლა შემოჰკარ რბილოსა, ბოძნი რომ დაეჭრებიან, დარბაზნი დაეცემიან“*). მიუხედავად იმისა, რომ ამირანი ქალღმერთის ნაშობია (ნახევრად ღმერთია) და ქრისტე ღმერთის ნათლულია, აქვს ნაკლულოვნება: ასეთი მიამიტობა, მიუხვედრელობა, გონებრივი სისუსტე, მისი ფიზიკური შესაძლებლობების ფონზე, უფრო კარგად იკვეთება.

დავუბრუნდეთ სამეულის ერთარსებობას, გავიხსენოთ ამირანის მონოლოგიზებული დიალოგი ყამართან:

„მოვლენ და მეც აქ დავხვდები, ამ ჩემის გორდა ხმალითა,
უსუპითა და ბადრითა, მესამით ამირანითა,
სუყველას თავებს დაგიჭრი საყველპურიო დანითა,
მარტო გავუხდი ჩხუბადა, მარტო ვეყოფი ომითა“.

ამირანი თავისთავს მესამეს უწოდებს, უსუპსა და ბადრის უპირატესობას ანიჭებს რაღაც ნიშნით, თუმცა ჩხუბსა და ომში მხოლოდ საკუთარ შესაძლებლობებს აღიარებს. ამირანის სიტყვები – *„სუყველას თავებს დაგიჭრი, მარტო ვეყოფი ომითა“* – კიდევ უფრო ამძაფრებს სამი ძმის გადაჯაჭვულობის, ერთიანობის განცდას.

ქაჯთა ლაშქართან საომრადაც ამ თანამიმდევრობით ჩადიან ძმები: ჯერ უსუპი, შემდეგ ბადრი და ბოლოს ამირანი. საგულისხმოა, რომ თითოეული ძმის სიკვდილს ისე გრძნობს ამირანი, რომ მთქმელი, ამბის მომტანი არ სჭირდება. მკვდარი ძმების გვერდით თავს იკლავს ამირანი, მითი კი გვეუბნება:

„ცხრათა ფრინველთა მხარგრძელთა
ალგეთის ჭალა გაექნა,
უძმოსა, უმამისძმოსა, ამირანს თავი მაეკლა“.

ეს „უძმობა“ არ ნიშნავს ისეთ მდგომარეობას, როცა გმირს ძმები ჰყავდა და ეს-ესაა დაეხოცა, არამედ სრულიად მარტო კაცზე ნათქვამს ჰგავს, რომელსაც ძმები არასოდეს ჰყოლია. აქაც ვხედავთ მინიშნებას – უსუპი, ბადრი და ამირანი ერთი პიროვნება რომაა სამი ნიშნით.

ყამარი ამირანს სამყურა ბალახით აცოცხლებს, რითაც ამირანი მესამედ იბადება, ჩნდება, ცოცხლდება: პირველად – დალის მუცლიდან, შემდეგ – გველეშაპის მუცლიდან და ახლა გარდაცვლილი ცოცხლდება (მკვდრეთით აღდგება!).

დრო გავიდა და ამირანმა იქამდე მიიყვანა საქმე, რომ დედამიწაზე მარტო სამი დევი, სამი გარეული ტახი და სამი მუხაღა დატოვა.

ამირანის ახირებას აყოლილ ნათლიას – ქრისტე ღმერთს – სამჯერ მოუწია ჯოხის დარჭობა და მესამედ უკვე იძულებული გახდა, ღვთაებრივი ძალა გამოეყენებინა – ჯოხს უბრძანა: ფესვი გაიდგი და დედამიწას სარტყლად შემოარტყიო.

მიჯაჭვულ ამირანს, ბადრისა და უსუპის ნაცვლად, ყორნის ნაშობი ფრთიანი ყურშა ჰყავს გვერდით.

საინტერესოა ამბის დასასრულიც: მთელი წელი ეჭიდება ამირანი იმ რკინის პალოს, რომელზეც თავად არის მიჯაჭვული, და უკვე ამოგლეჯვაზე რომ მიდგება საქმე, თავადვე ურტყამს დიდ ეროს და ისევ მიწაში აჭედებს. ასეთია უსუპის (გონების) გარეშე დარჩენილი კაცის ქმედება.

ბოლო ეპიზოდი მითისა კიდევ ერთხელ ამყარებს სამი ძმის ერთიანობის, მთლიანობის, სამთა ერთად ყოფნის აუცილებლობის ჰიპოთეზას. აქ ცხადად ჩანს, როგორ ხდება, უსუპისა და ბადრის გარეშე დარჩენილი, ამირანის არამიწიერი ძალა უუნარო, გამოუსადეგარი და უფრო მეტიც – საკუთარი თავის წინააღმდეგ მიმართული. ამირანი სრული აღარ არის, იგი მხოლოდ ნაწილია მთელისა და სწორედ ამიტომაა უძლური. მისი მარადიული მიჯაჭვულობაც აიხსნება არა იმით, რომ იგი ქრისტე ღმერთის მიერ ჯაჭვითაა დაბმული, არამედ იმით, რომ მას ამ ჯაჭვისაგან გათავისუფლება არ ძალუძს. მისი მთავარი სასჯელი სწორედ გონების გარეშე დარჩენაა (ბადრის და უსუპის ჩანაცვლება ყორნის ნაშობი ყურშათი), რაც საკუთარი გულზვაობით დაიმსახურა.

ნათია მჭედლიშვილი
თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორე კურსის სტუდენტი

ინფორმაცია

ქიმიის საერთაშორისო ოლიმპიადას ბიზნესსექტორი მხარს უჭერს

ქიმიის საერთაშორისო ოლიმპიადისთვის (IChO-48) მზადება აქტიურ ფაზაშია. როგორც ცნობილია, მთავრობის მხარდაჭერით, პირველად საქართველოში, მოსწავლეთა საერთაშორისო ოლიმპიადა ჩატარდება ქიმიაში. „ოლიმპიადა 2016-ში“ მონაწილეობის მისაღებად, 2016 წლის 23 ივლისიდან 1 აგვისტომდე, საქართველოში 80-მდე ქვეყნის 700-მდე წარმომადგენელი ჩამოვა.

ოლიმპიადის მაღალ დონეზე ჩატარების უზრუნველყოფისთვის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობს ჯანდაცვის, ეკონომიკის, საგარეო, შინაგან საქმეთა სამინისტროებთან და ტურიზმის დეპარტამენტთან.

მხარდაჭერისა და დამატებითი რესურსების მოძიების მიზნით, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **ალექსანდრე ჯეჯელავა** ბიზნესსექტორს და იმ კომპანიებს შეხვდა, ვისაც შეხება აქვს ქიმიურ მრეწველობასთან და ზოგადად ქიმიასთან. ასევე მათ, ვისთვისაც სოციალური პასუხისმგებლობა პრიორიტეტულია.

მინისტრის განცხადებით, ქიმიის ოლიმპიადას ბიზნესსექტორიდანაც ძალზე მასშტაბური მხარდაჭერა ექნება და მიღებული დამატებითი რესურსები მოსწავლეებში ქიმიის პოპულარიზაციას მოხმარდება: *„სასიხარულოა, რომ წელს, პირველად, საქართველოში, ტარდება ქიმიის საერთაშორისო ოლიმპიადა, რომელიც გრანდიოზული ღონისძიებაა და მსოფლიოს მასშტაბით გაშუქდება. მასში ჩართულნი არიან სამეცნიერო და სასწავლო წრეები. საქართველოს მთავრობამ, განათლების რეფორმის ფარგლებში, მხარი დაუჭირა ოლიმპიადის საქართველოში ჩატარებას, რაც ძალზე სასიხარულოა. გვინდა, რომ ოლიმპიადის მიმდინარეობაში აქტიურად ჩაერთოს ბიზნესსექტორი, ვისაც შეხება აქვთ ქიმიურ მრეწველობასთან, ზოგადად ქიმიასთან, ასევე ის ორგანიზაციები ვინც კორპორატიულ-სოციალურ პასუხისმგებლობას აყენებენ წინა პლანზე. დღევანდელ შეხვედრაზე ძალიან ბევრი მოწინავე კომპანიის ხელმძღვანელი მოვიდა ჩვენთან შესახვედრად. დიდი იმედი გვაქვს, რომ ქიმიის ოლიმპიადას მასშტაბური მხარდაჭერა ექნება ბიზნესიდან და რესურსებს, რომლებსაც ჩვენი პარტნიორები, დამატებით, სახელმწიფო დაფინანსების გარდა მოგვცემენ, გამოვიყენებთ ქიმიის პოპულარიზაციისთვის ქართულ სკოლებსა და სასწავლებლებში“.*

თორნიკე გურული, „PSP“-ს მარკეტინგის დირექტორი: *„მისასალმებელია ასეთი ტიპის ოლიმპიადების ჩატარება საქართველოში. როგორც მოგეხსენებათ, „PSP“ ჯგუფი ლიდერია ფარმაცევტულ სფეროში და შესაბამისად, ძალიან ფართო სპექტრით ვიყენებთ ქიმიას. ასე რომ, მივესალმებით ყველა იმ ახალგაზრდას, რომელიც განათლებისკენ მიილტვის და რომელსაც სურს კიდევ უფრო განვითარდეს ქიმიაში“.*

ირმა ცქვიტინიძე, „ლოიალ კაპიტალ გრუპი“: *„ინიციატივა მართლაც ძალიან საინტერესოა და, რაც მთავარია, მასშტაბური. ზუსტად ის არის, რაც ახალ თაობას სჭირდება, რათა კიდევ უფრო გაიზარდოს ინტერესი ქიმიის მიმართ და სწორი მიმართულებით განვითარდეს ის პოტენციალი და ცოდნა, რაც დაგროვილია ჩვენს ახალგაზრდებში. კიდევ ერთხელ, მივესალმებით ამ ინიციატივას და შევეცდებით, მაქსიმალურად გვერდში დავუდგეთ ოლიმპიადის მიმდინარეობას“.*

ინფორმაცია

გამოყენებითი ფსიქოლინგვისტიკის მე-11 მსოფლიო კონგრესი

27 ივნისს, გამოყენებითი ფსიქოლინგვისტიკის საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერითა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანიზებით, გამოყენებითი ფსიქოლინგვისტიკის მე-11 მსოფლიო კონგრესი გაიხსნა, რომელიც 1981 წლიდან იმართება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. კონგრესი თსუ რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა **დარეჯან თვალთვაძემ** და განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ **გიორგი შარვაშიძემ** გახსნეს.

კონგრესში მონაწილეობენ: ფსიქოლინგვისტიკის საერთაშორისო საზოგადოების საპატიო პრეზიდენტი ბრაზილიიდან, ამერიკული საბჭოების პრეზიდენტი (აშშ), თანამედროვე ენების ასოციაციათა ფედერაციის პრეზიდენტი (დიდი ბრიტანეთი) და გენერალური მდივანი (ავსტრალია), მეცნიერები და სტუდენტები მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან.

მსგავსი ღონისძიება 4 წელიწადში ერთხელ იმართება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. საქართველოსთვის ანალოგიური მასშტაბის მოვლენა იშვიათია. კონგრესის ფარგლებში, გაიმართება გენერალური ასამბლეა და მომავალი 4 წლით აირჩევენ პრეზიდენტსა და ახალ პრეზიდიუმს. კონგრესის მსვლელობის დროს დაგეგმილია ვორქშოფები, მასტერკლასები, მრგვალი მაგიდა დოქტორანტებთან და ახალგაზრდა მეცნიერებთან, რაც აგრეთვე ხელს შეუწყობს მათ ჩართულობას თანამედროვე ინტერდისციპლინარულ სამეცნიერო კვლევებში. კონგრესი 30 ივნისის ჩათვლით გაგრძელდება.

„თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ძალიან მნიშვნელოვან ღონისძიებას მასპინძლობს. ეს გახლავთ ფსიქოლინგვისტიკის კონგრესი, რომელიც ოთხ წელიწადში ერთხელ, სხვადასხვა ქვეყანაში იმართება. წელს ეს პატივი საქართველოს ერგო. კონგრესს ესწრებიან ფსიქოლინგვისტები მთელი მსოფლიოდან. მრავალმხრივი პროგრამის ფარგლებში, რომელიც დღევანდელი შეხვედრით დაიწყო, ბევრი საინტერესო რამ არის დაგეგმილი. ასე რომ, ახალგაზრდა მეცნიერებს, მკვლევრებსა და სტუდენტებს გამოჩენილ და წარმატებულ კოლეგებთან შეხვედრის საშუალება ექნებათ.“ – აღნიშნა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ გიორგი შარვაშიძემ.

დენ დევიდსონი, ამერიკული საბჭოების პრეზიდენტი: *„დღევანდელი კონფერენცია ერთ-ერთი სერიოზულია და ეძღვნება ენის ცვალებად როლს გლობალიზაციის ხანაში. ენის ცოდნა და ფუნქცია გლობალურ გარემოში ძალიან სწრაფად იცვლება და მნიშვნელოვანია, სპეციალისტები უკეთ გაეცნონ ენის კომუნიკაციის გადაკვეთის უმაღლეს დონეებს და ენის სოციოლოგიას.“*

სასკოლო აქტივობა

სკოლის საპატიო ჯილდო

2015 წლის ოქტომბერში ქუთაისის მერიის კულტურის, სპორტის, განათლების, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდობის სამსახურმა, ქალაქის სკოლებისათვის, გამოაცხადა კონკურსი „ჩემი სკოლის მატიანე“, რომელშიც, ქალაქის საჯარო სკოლებთან ერთად, აქტიურად ჩაერთო ქუთაისის №8 საჯარო სკოლაც (დირექტორი – **თეა ჩხეტია**). გავითავისეთ საკითხის აქტუალობა, რადგან გაცნობიერებული გვქონდა, რომ ქუთაისის სასწავლო დაწესებულებების ისტორია, მიუხედავად დიდი რაოდენობის საარქივო მასალების არსებობისა, ჯერ კიდევ სათანადოდ შესწავლილი და თავმოყრილი არ არის.

გავეცანით კონკურსის დებულებას, მისი ჩატარების წესებსა და პირობებს და დავიწყეთ მასალების მოკრება სკოლის დაარსებიდან – 1938 წლიდან. წარმოვადგინეთ 15 ბმულისგან შედგენილი ბლოგი (ბლოგის ავტორი – **მზია ზარნაძე**), რომელიც უამრავ ინფორმაციას იტევს – სკოლის დაარსებისა და გახსნის, მისი დირექტორების, ღვაწლმოსილი პედაგოგების, წარჩინებული კურსდამთავრებულების (1940-2015 წლები) შესახებ, ფართოდ (ორ ნაწილად) წარმოვაჩინეთ ფოტომატიანე (1938-2000 და 2000-2016 წწ.)

მუშაობის პროცესში ჩვენთვის მთავარი იყო დაგვეზუსტებინა, ესა თუ ის პიროვნება რომელ წლებში მოღვაწეობდა და სწავლობდა მე-8 სკოლაში, რა დამსახურება და ღვაწლი მიუძღოდა სკოლის წარმატებულ საქმიანობაში. უმეტესად დავეყრდენით საარქივო და დოკუმენტურ მასალებს, რომელიც მოვიძიეთ ქუთაისის სახელმწიფო ცენტრალურ არქივში, ქუთაისის ისტორიული მუზეუმის სამეცნიერო ბიბლიოთეკასა და ახალი ისტორიისა და განათლების განყოფილებაში, ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკაში, კურსდამთავრებულთა და ყოფილ პედაგოგთა ოჯახებში. მუხლჩაუხრელი შრომის შედეგად დავადგინეთ, ვინ იყო გადაღებული მოძიებულ ფოტოებზე (წლების მითითებით) და რა ფაქტებზე მოგვითხრობდა თითოეული დოკუმენტი.

კონკურსის „ჩემი სკოლის მატიანე“ შედეგები 2016 წლის მაისში შეჯამდა. პირველი ადგილი წილად ხვდა სსიპ ქალაქ ქუთაისის №1 საჯარო სკოლას, მესამე ადგილზე გავიდა №22 საჯარო სკოლა, №8 საჯარო სკოლაც ერთ-ერთ გამარჯვებულ სკოლად გამოცხადდა, მე-2 ადგილი მიენიჭა და 400 ლარის ოდენობის ფულადი ჯილდო გადაეცა.

ქალაქის ხელმძღვანელი მუშაკები, განათლების სამსახურის წარმომადგენლები, კონკურსში მონაწილე სკოლები, მათ შორის, ქუთაისის №8 საჯარო სკოლაც – დირექტორი, ბლოგის ავტორი და ექვსი წარმატებული მასწავლებელი – ქალაქის მერიის სამსახურმა საკრებულოს სხდომათა დარბაზში გამართულ საღამოზე მიგვიწვია, სადაც გამარჯვებული სკოლების ბლოგების პრეზენტაცია გაიმართა. ქალაქის მერმა **შოთა მურღულიამ** და მერიის განათლების სამსახურის წარმომადგენელმა **მაყვალა ქობულაძემ** გამარჯვებულ სკოლებს და ქალაქის განათლების სისტემას მიულოცეს ეს გამარჯვება და აღნიშნეს, რომ კონკურსი კვლავ გრძელდება და დასრულდება წიგნის „ქ. ქუთაისის საჯარო სკოლების ისტორია“ გამოცემით, რომელშიც ასახული იქნება ბლოგებზე განთავსებული ელექტრონული მასალები. მივესალმებით ასეთ გადაწყვეტილებას, წიგნი საშუალებას მოგვცემს, ერთ მთლიანობაში დავინახოთ ქუთაისის საგანმანათლებლო სისტემის ისტორია.

ქუთაისის №8 საჯარო სკოლის დირექციის და პედაგოგიური კოლექტივის სახელით, გვინდა მადლობა ვუთხრათ ქუთაისის მერს, იდეის ავტორებს და განათლების სამსახურს ამ მეტად საინტერესო ინიციატივისათვის. წიგნს „ქ. ქუთაისის საჯარო სკოლების ისტორია“ მომავალი სასწავლო წლისათვის ველოდებით, ხოლო ქუთაისის №8 საჯარო სკოლის ისტორიით დაინტერესებულ პირებს კი, შეუძლიათ გაეცნონ ჩვენ მიერ შედგენილ ბლოგს – 8skolakutaisi.blogspot.com.

მზია ზარნაძე
სსიპ ქალაქ ქუთაისის №8 საჯარო სკოლის
პედაგოგი

„ჩვენ ვსწავლობთ რუსთაველს“

სსიპ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ველევის საჯარო სკოლა მცირეკონტინგენტიანია. შესაძლებლობიდან გამომდინარე, ვცდილობთ ფეხი ავუწყოთ თანამედროვე მოთხოვნებსა და საკუთარ ძალებში დარწმუნებული, თავისუფლად მოაზროვნე პატრიოტი თაობა აღვზარდოთ. სასწავლო წლის დასაწყისში, სხვა ღონისძიებებთან ერთად, დავგეგმეთ პროექტის „ჩვენ ვსწავლობთ რუსთაველს“ განხორციელება. შევიმუშავეთ გეგმა:

ა) რუსთაველის ვინაობა – სადაურობის საკითხის შესწავლა;
ბ) „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის გაცნობა („საბავშვო ვეფხისტყაოსნის“ წაკითხვა);
გ) ტექსტის შინაარსის ცოდნის შემოწმება ტესტირებით;
დ) პოემა „ვეფხისტყაოსნიდან“ ეპიზოდების დასწავლა;
ე) „ვეფხისტყაოსნის“ აფორიზმების საუკეთესოდ მცოდნეს გამოვლენა;
ვ) მონაწილეთა „ვეფხისტყაოსნის“ წიგნებით დაჯილდოება.

პროექტი, ეტაპობრივად, წარმატებით განხორციელდა: მეხუთეკლასელმა **ლუკა არდიამ** და მეექვსეკლასელმა **ლუკა გოგსაძემ**, ჩემი დახმარებით, მოიძიეს მასალები და რუსთაველის ვინაობა-სადაურობის საკითხის პრეზენტაცია გამართეს. პოემის ტექსტის ცოდნის გამოსავლენად, ქართული ენისა და ლიტერატურის სერტიფიცირებულმა მასწავლებელმა **ირმა მაცაბერიძემ** შეადგინა ტესტები, ასევე ჩემი ხელმძღვანელობით, მოსწავლეებმა დაამზადეს წიგნაკები, სადაც მრგლოვანითა და თანამედროვე ქართული დამწერლობით ჩაწერეს თავიანთი რჩეული აფორიზმები და გააფორმეს, ბოლოს კი თანმიმდევრულად წაიკითხეს პოემიდან ეპიზოდები (ზეპირად). სკოლის დირექციამ ყველა ბავშვს საჩუქრად გადასცა „ვეფხისტყაოსანი“ სამახსოვრო წარწერით.

პროექტის განხორციელებაში ჩართული იყო სკოლის ყველა პედაგოგი, შვიდივე მოსწავლე და მათი მშობლები. დასკვნით პრეზენტაციას ესწრებოდნენ სოფლისა და რაიონული ბიბლიოთეკის წარმომადგენლები, გადავიღეთ სამახსოვრო სურათები. ყველა კმაყოფილი დარჩა, განსაკუთრებით ბავშვები – ბევრი შეიტყვეს უპირველეს ერისკაცსა და უდიდეს შემოქმედზე, შეისწავლეს პოემა, დაისწავლეს სასურველი ეპიზოდები და აფორიზმები. ასე რომ, მოსწავლეები დავაინტერესეთ და მივუახლოვეთ რუსთაველის სამყაროს. იქნებ, დადგეს დრო და გაუცხოების მაგივრად, „ვეფხისტყაოსანი“ იქცეს ყველა ქართველის სამაგიდო წიგნად.

ეკატერინე ჭიჭინაძე-გოგსაძე
ქართული ენისა და ლიტერატურის
სერტიფიცირებული მასწავლებელი,
სოფელ ველევის საჯარო სკოლის დირექტორი

ПЕДАГОГОТА ДАСАХМАРЕБЛАД

ზურაბ ვახანია

მათემატიკა (დაწყებითი საფეხური)

მათემატიკის კონსტრუქციოსტული სწავლება

გაკვეთილის სცენარი – III კლასი

კონსტრუქტივიზმი გულისხმობს ახალი ცოდნის აგებას მოსწავლეთა მიერ, საკუთარ გამოცდილებაზე (წინარე ცოდნა/უნარ-ჩვევებზე) დაშენებით. ევრისტიკა გულისხმობს ახალი ცოდნის აღმოჩენას მოსწავლეთა მიერ, კვლავ საკუთარ გამოცდილებაზე (წინარე ცოდნა/უნარ-ჩვევებზე) დამყარებით. ამიტომ ორივე ამ მეთოდის მიხედვით გაკვეთილის დაგეგმვაში უპირველესია:

• გაკვეთილის მიზნის ზუსტად და მაქსიმალურად დაკონკრეტებულად ჩამოყალიბება;

• საჭირო წინარე ცოდნისა და უნარ-ჩვევათა მაქსიმალურად დაკონკრეტებულად ჩამოყალიბება (რომლებიც I ფაზაში უნდა გააქტიურდეს).

აქტივობათა შერჩევა და მათი განაწილება 3 ფაზის მიხედვით, მხოლოდ ამის შემდეგ იწყება.

ნიმუშისთვის განზრახ შევარჩიეთ ძალიან სტანდარტული, არაფრით გამორჩეული საკითხის სწავლება. საქმეც ისაა, რომ ასეთი საკითხებიც **შემოქმედებითად** უნდა ისწავლებოდეს.

<u>წინარე ცოდნა – მოსწავლეებმა ამ დროისათვის იციან:</u>

- სამნიშნა რიცხვის თანრიგობრივი აგებულება,
- ნაწილ-ნაწილ შეკრება 100-ის ფარგლებში,
- რამდენი აკლია ორნიშნა რიცხვს 100-მდე,
- ორნიშნა რიცხვების შეკრება 100-ის გავლით,
- მრგვალი სამნიშნა რიცხვისთვის ორნიშნას მიმატება **ასეულზე გადასვლის გარეშე**.

↓

<u>ძირითადი სასწავლი ახალი საკითხი – უნდა ისწავლონ:</u>

მრგვალი სამნიშნა რიცხვისთვის მრგვალი ორნიშნას მიმატება ასეულზე გადასვლით. ქვეშმიწერით შეკრებისას ასეულის დამახსოვრება და ამის ჩანიშვნა.

<u>**გაკვეთილის 15-20 წუთი – პირველი ფაზა, შემზადებისა (წინათ ნასწავლი სხვა საკითხების განმტკიცებასთან ერთად) – საშინაო დავალების გარჩევა.**</u>

ბავშვები სხდებიან, მოწესრიგდებიან და იწყება საშინაო დავალების ამოცანების განხილვა.

მოსწავლეები გადაშლიან წიგნებსა და რვეულებს.

დაწვრილებით განვიხილავთ №1, 2, 3 ამოცანებს, რომლებიც ძირითადი საკითხის წინასწარი შემამზადებელი ამოცანებია.

1. გადაიხაზეთ და შეავსეთ ცხრილი, რომელშიც მოცემულია, თუ რამდენი აკლია რიცხვს 100-მდე.

55	75	25	13	45	5	91	89

ეს ამოცანა მოსწავლეს შეამზადებს იმისთვის, რომ შეავსოს რიცხვი მრგვალ ასეულამდე და მხოლოდ ამის შემდეგ გასცდეს მას.

– ანა, რამდენი აკლია 55-ს 100-მდე? – 45. – ახსენი, როგორ მიიღე. – 55 ჯერ შევავსოთ 60-მდე, ამისათვის დავუმატოთ 5, მერე, კიდევ უნდა დაემატოს 40, ე.ი. სულ 45.

ასევე გამოიკითხებიან სხვა მოსწავლეები. იმავდროულად მასწავლებელი მერხებს შორის დადის და ათვალიერებს სხვების ნაწერებს, თან მოკლე ინდივიდუალურ უკუკავშირებს აწვდის მათ: „ეს კარგად გაგიკეთებია, ამას კი დააკვირდი – აქ უკეთესად შეიძლებოდა...“

2. შეკრიბეთ ადვილი ხერხით:

18 + 44 28 + 54 35 + 55 29 + 55
37 + 37 + 16 30 + 30 + 30 + 10

ეს ამოცანა ნაწილ-ნაწილ შეკრების უნარ-ჩვევას გააააქტიურებს, თუმცა შეიძლება, ზოგიერთმა მოსწავლემ შეკრების სხვა ხერხი გამოიყენოს, მასაც უნდა ვათქმევინოთ, თუ როგორ შეკრიბა.

3. შეავსეთ რიცხვთა კიბეები:



ეს ამოცანა მ�მასწავლეს ეხმარება ამ ტეხილის მთელი სიგრძე?

ეს ამოცანა მრგვალ სამნიშნა რიცხვებზე მოქმედების უნარ-ჩვევას გააააქტიურებს, თანაც მოსწავლეს კერძო მარტივი მაგალითისთვის უკვე ავაგებინებთ ახალ ცოდნას - ძირითად სასწავლ საკითხს.

დაფასთან გამოდიან მოსწავლეები რიგრიგობით, ზოგჯერ ორ-ორი ერთდროულად. ამოცანებსა და ქვეამოცანებს რიგრიგობით კითხულობენ, აყალიბებენ თავიანთ პასუხებს, ასაბუთებენ ამოხსნის გზებსაც, კამათობენ, ერთმანეთს უხსნიან.

მასწავლებელი ამ დროს დადის მერხებს შორის, ჩერდება თითოეულ მოსწავლესთან, ამოწმებს შესრულებულ დავალებებს და ერთი-ორი სიტყვით გაესაუბრება მათ. სხვები კი დაფასთან მუშაობენ.

მასწავლებელმა ყურადღება უნდა გამოიჩინოს თითოეული მოსწავლის ნამუშევრის მიმართ, რათა ბავშვს საშინაო დავალების შესრულების ხალისი არ დაეკარგოს. მასწავლებელმა თითოეული მოსწავლის პიროვნების მიმართაც უნდა გამოიჩინოს ყურადღება, მასთან ახლოს მივიდეს და ერთიერთზე იურთიერთოს – სიტყვით, ან უსიტყვო ღიმილით, ან ჟესტით, ან მიმიკით. თანაც მასწავლებელი აკვირდება, რომელ მოსწავლეს გაუჭირდა დავალების შესრულება და მისთვის არც თანაკლასელების ახსნა აღმოჩნდა საკმარისი.

მასწავლებელი ასეთ მოსწავლეებს გადასვამს უკანა მერხებზე, ერთად სამუშაოდ. ისინი ჯგუფურად ხელახლა არჩევენ №1, 2, 3 ამოცანებს. მასწავლებელი მათ უკან დგება და დროდადრო ეხმარება მიმანიშნებელი შეკითხვებისა და მითითებათა საშუალებით.

ამ მოსწავლეთა შორისაა ის მოსწავლეც, რომელიც მათემატიკას კარგად სწავლობს, მაგრამ გაცდენების გამო ჩამორჩა. მასწავლებელი ისე დგება, რომ არასაკმარისი მზაობის მქონე მოსწავლეებსაც დაეხმაროს და თან თვალყური ადევნოს დანარჩენ კლასსაც, რომელიც განაგრძობს №4, 5, 6, 7, 8 ამოცანების ერთობლივ გარჩევას. ეს ამოცანები ძირითად საკითხს არ უკავშირდება, ისინი სხვა ნასწავლი საკითხების განსამტკიცებლადაა – გეომეტრიისა და ლოგიკის თემებიდან. თანაც მაღალი საზრვნო დონეებისაა – გაზრებისა და გამოყენების (ტრანსფერისა).

<u>**სხვა საკითხების მესამე ფაზა**</u>

4. მოკლე გზით, ბაღდათიდან აბასთუმნამდე, 66 კმ მანძილია, საირმემდე – 24 კმ, ვანამდე – 101 კმ; აბასთუმნიდან საირმემდე კი – 42 კმ. გაარკვიეთ, შეიძლება თუ არა ბაღდათიდან აბასთუმნისკენ მიმავალ მოკლე გზაზე მდებარეობდეს:

I. ვანი; II. საირმე. რატომ?

მითითება. როგორც ყოველთვის, ამგვარ ამოცანებში, დახაზეთ გზის ნახაზი და ზედვე მიაწერეთ კილომეტრები.

თქვენ თვითონ დასვით ამოცანის ახალი შეკითხვა და უპასუხეთ მას.

5. წაიკითხეთ ისევ წინა ამოცანის მონაცემები. ბაღდათი მდებარეობს ვანიდან საირმისკენ მიმავალ უმოკლეს გზაზე. გაარკვიეთ, რა მანძილია ვანიდან: I. ბაღდათამდე; II. საირმემდე.

6. შეადგინეთ ამოცანის პირობის მოკლე ჩანაწერი და ამოხსენით: სკოლისთვის იყიდეს საკრავები: 9 ფანდური, ჩონგურები 3-ჯერ მეტი, დოლები ჩონგურებზე 2-ით მეტი, სალამურები დოლებზე 19-ით ნაკლები და კიდევ ერთი პიანინო. სულ რამდენი საკრავი უყიდიათ?

7. დახაზეთ გახსნილი ტეხილი, რომლის გვერდების სიგრძეები ასეთია: 2სმ < I < 3სმ; 3სმ < III < 4სმ; 1სმ < V < 2სმ; 1სმ < II < 2სმ; 4სმ < IV < 5სმ.

როგორ გგონიათ, დაახლოებით, რისი ტოლი იქნება ამ ტეხილის მთელი სიგრძე?

აარჩიეთ ერთი პასუხი:

ა) 25სმ; ბ) 8სმ; გ) 2მ; დ) 15სმ; ე) 15დმ; ვ) 3დმ 1სმ.

მოსწავლეები კვლავ რიგრიგობით კითხულობენ ამოცანებს, დაფაზე წერენ, ხაზავენ, აყალიბებენ თავიანთ პასუხებს, ასაბუთებენ ამოხსნის გზებსაც, კამათობენ, ერთმანეთს უხსნიან. მასწავლებელი ისევ უკან დგას, დროდადრო მათაც ესაუბრება, შეაქებს, წაახალისებს და თან უკან გადასმულ მოსწავლეებს ეხმარება.

№1, 2, 3 ამოცანები საკმაოდ ადვილია, მასწავლებლის დახმარების შემდეგ მაინც მათ ყველა მოსწავლე ამოხსნის (თუნდაც საშინაო დავალებაში არ ჰქონოდათ შესრულებული). ამით ყველა მოსწავლე შემზადებულია, რომ თვითონ აღმოაჩინოს ახალი ცოდნა.

ეს ამოცანები რთულია, მაგრამ საკმაოდ სწრაფად გაირჩევა, რადგან მათზე მოსწავლეებს უკვე ნაფიქრი აქვთ საშინაო დავალების შესრულებისას. მოსწავლეთა უმრავლესობას ამოხსნილიც აქვს ისინი, მხოლოდ უნდა წარადგინონ თავიანთი ნამუშევარი, იმსჯელონ ანდა იკამათონ.

<u>**მომდევნო 5 წუთი – პირველი ფაზა, შემზადებისა: დიდაქტიკური თამაში**</u>

მასწავლებელი ბავშვებს სთხოვს, დადგნენ წრეში. ბავშვები წრეში დგებიან. მასწავლებელი იტყვის: – ბავშვებო, გავადიდოთ 100-ით 1000-მდე! 30, განაგრძოს გიგიმ, თამაში გაგრძელდეს მარჯვნივ! გიგი ამბობს: 130, შემდეგ მის მარჯვნივ მდგომის ხელისგულს მიარტყამს თავის ხელისგულს (გადასცემს ესტაფეტას) და ამით მიანიშნებს, რომ ახლა მას შეუძლია გაგრძელება; მომდევნო იტყვის: 230 და ა.შ. ავლენ 930-მდე; აქ მასწავლებელი მიანიშნებს შემდეგ მონაწილეს: – ახლა შევამციროთ 100-ით! მომდევნო მონაწილე წინა რიცხვს შეამცირებს 100-ით და ა.შ. მანამ, სანამ არ ჩავლენ 30-მდე; აქ, ისევ მასწავლებლის მითითებით, შემდეგი მონაწილე განაგრძობს გადიდებას ბიჯით 200, ავლენ 830-მდე და ა.შ. თამაში დამთავრდება დამწყებთან.

<u>**მომდევნო 20 წუთი – მეორე ფაზა, ახალი ცოდნის აგება**</u>

კლასი დაიყოფა ჯგუფებად ისე, რომ მათ 4-5 სხვადასხვა დავალება გაუნაწილოს. მასწავლებელი ჯგუფებს პატარა ფურცლებს (ბარათებს) ურიგებს და თითოეულ ჯგუფში დანიშნავს თითო წარმომადგენელს.

თითოეული ჯგუფი მიიღებს ბარათს დავალებით – მიიღებს შეკრების ერთსა და იმავე მაგალითს, ასეულზე გადასვლით: 540 + 80 (რაც ჯერ არა აქვთ ნასწავლი). ყოველმა ჯგუფმა ეს შეკრება უნდა წარმოადგინოს სხვადასხვა სახით: პლასტმასის თვალსაჩინოებით, ნახაზით, გამოსახულებებით, ციფრულად, დაკაკუნებით ან ისრებით. დრო – 1 ან 2 წუთი.

სანამ ჯგუფები მუშაობენ, მასწავლებელი დაფაზე „სამიზნეს“ და სამთანრიგიან ტაბლოს დახაზავს.

ახლა მოსწავლეებს პრაქტიკულად გავაკეთებინებთ ძირითად საკითხს – ის, რაც უნდა ისწავლონ. ე.ი., ჯერ არც კი გვისწავლებია ასეულზე გადასვლის წესი, მოსწავლეებს კი უკვე პრაქტიკულად შევაკრებინებთ რიცხვებს ასეულზე გადასვლით.

ესაა კონსტრუქციოზმი – ანუ სწავლება კეთებით.

შემდეგ პირველი ჯგუფიდან, რომელიც მზადაა, წარმომადგენელი გამოვა დაფასთან და შეასრულებს დავალებას.

I *წარმომადგენელი, ნინო:*

დაფის წინ, ცარიელ მაგიდაზე დაწყობილი აქვს მიცემული I შესაკრების შესაბამისი კონსტრუქცია პლასტმასის ფერადი თვალსაჩინოებით: 5 „კედელი“ და 4 „სვეტი“; ცალკე – II შესაკრების შესაბამისი 8 „სვეტი“.

მასწავლებელი ამბობს: – გვიჩვენე და თან ხმამაღლა აგვიხსენი, რას აკეთებ!

ნინო აჩვენებს და თან ამბობს: – ესაა პირველი შესაკრები 540, ესაა მეორე – 80. ახლა შევკრიბოთ!



ნინო ხელებით გააერთიანებს (შეკრებს) ამ ორ ჯგუფს. იტყვის: – მივიღე ჯამი: ხუთი კედელია და კიდევ... თორმეტი სვეტი. ესაა ხუთასი და კიდევ თორმეტი ათეული.

მასწავლებელი ეკითხება: – ჰოდა რა რიცხვი მიგიღია ჯამში?

შეიძლება, ნინოს გაუჭირდეს, რადგან ეს საკითხი ხომ ჯერ არ უსწავლია.

მასწავლებელი სხვებს ეკითხება ნინოს ჯგუფიდან: – ვინ მიხვდება, რა რიცხვი მიუღია ჯამში?

ხელს აწევს ნიკა და გამოვა.

მასწავლებელი ამბობს: – გვიჩვენე და თან ხმამაღლა აგვიხსენი, რას აკეთებ!

ნიკა 10 „სვეტს“ მჭიდროდ მიაწყობს ერთმანეთთან და აჩვენებს, რომ ეს ათი „სვეტი“ იგივეა, რაც 1 „კედელი“: – ეს ათი სვეტი იგივეა, რაც ერთი კედელი. ცალკე დამჩა ეს ორი „სვეტი“. აქაა სულ... **ექვსას** (თან ხელებით აჩვენებს ექვს „კედელს“) **ოცი** (თან ხელებით აჩვენებს დარჩენილ ორ „სვეტს“).

მასწავლებელი ამბობს: – ძალიან კარგია, ნიკა რა კარგად მიხვდა! სხვებმაც ხომ გაიგეთ?

და მასწავლებელი ისევ ნინოს ეკითხება: – მაშ რა მიგიღია ჯამში?

ნინო პასუხობს: – ექვსას ოცი!

ეს იყო მთავარი აღმოჩენა. ამის შემდეგ სხვა წარმომადგენლებს დავალების შესრულება გაუადვილდებათ, რადგან ერთი ნიმუში უკვე ნანახი აქვთ.

II *წარმომადგენელი:*

დაფაზე მარცხნივ დახაზავს:



მასწავლებელი ამბობს: – გვიჩვენე და თან ხმამაღლა აგვიხსენი, რას აკეთებ!

მოსწავლე ახსნის: – შეკრება დავიწყოთ ათეულებით, ე.ი. სვეტებით, სულ იქნება 12 სვეტი, ანუ 10+2; 10 სვეტი კი 1 კედელია, ამიტომ სულ გაგვიხდება 6 კედელი, ხოლო სვეტი დაგვრჩება 2. მივიღეთ რიცხვი **620**.

III *წარმომადგენელი:*

დაფაზე დაწერს მეორის (სქემის) გვერდით:

პედაგოგთა დასახმარებლად

$$\begin{array}{r} 5 \cdot 100 + 4 \cdot 10 \\ + \quad 8 \cdot 10 \\ \hline \mathbf{5 \cdot 100 + 12 \cdot 10} \end{array}$$

$$6 \cdot 100 + 2 \cdot 10$$

მასწავლებელი ამბობს: – გვიჩვენე და თან ხმამაღლა აგვიხსენი, რას აკეთებ!

მოსწავლე ახსნის: – შეკრება დავიწყოთ ათეულებით, ათეულები სულ 12 ცალია,

12 • 10 ანუ 1 • 100 + 2 • 10.

ეს 1 ასეული მივამატოთ პირველი შესაკრების ასეულებს, გახდება 6 • 100. ამრიგად, სულ მივიღეთ, 6 • 100 + 2 • 100, ესაა რიცხვი **ექვსას ოცი.**

IV *წარმომადგენელი:*

დაფაზე დაწერს მესამის (გამოსახულებათა) გვერდით:

$$\begin{array}{r} 540 \\ + \quad 80 \\ \hline \mathbf{5 \cdot 100 + 12 \cdot 10} \\ \hline 620 \end{array}$$

მასწავლებელი ამბობს: – გვიჩვენე და თან ხმამაღლა აგვიხსენი, რას აკეთებ!

მოსწავლე ახსნის: – 40 არის 4 ათეული; მას ემატება 80 ანუ 8 ათეული; მივიღეთ 4 + 8 = 12 ათეული. 5 ასეული ასევე გადმოვწეროთ. 12 ათეულიდან ავიღოთ 1 ასეული და დავუმატოთ ამ 5 ასეულს, მივიღებთ 6 ასეულს. დაგვრჩა კიდევ 2 ათეული. ამიტომ ჯამი მივიღეთ **620**.

V *წარმომადგენელი:*

დაფაზე წინასწარ დახაზულია:

ასეულები	ათეულები	ერთეულები

მოსწავლე ამბობს: – პირველი შესაკრებია **ხუთას** (და დააკაკუნებს პირველ უჯრაში 5-ჯერ) **ორმოცი** (და *დააკაკუნებს მეორე უჯრაში 4-ჯერ).* მეორე შესაკრებია **ოთხმოცი** *(და დააკაკუნებს მეორე უჯრაში 8-ჯერ).* ჯამია **ექვსას** (და დააკაკუნებს პირველ უჯრაში 6-ჯერ) **ოცი** (და დააკაკუნებს მეორე უჯრაში 2-ჯერ).

VI *წარმომადგენელი:*

მაგნიტურ დაფაზე წინასწარ დახაზულია სამიზნე დაფა:



წარმომადგენელი ერთი ფერის ცარცით დახაზავს 5 ცალ ისარს – წვერით 100-იან რგოლში და 4 ცალ ისარს – წვერით 10-იანში, ოღონდ უფრო წვრილ ისრებს, ხოლო სხვა ფერის ცარცით – 12 წვრილ ისარს წვერით 10-იანში (სასურველია, კლასში მაგნიტური ისრები იყოს – მაშინ მოსწავლე მათ პირდაპირ მიაკრავს სამიზნეზე).

მასწავლებელი ამბობს: – გვიჩვენე და თან ხმამაღლა აგვიხსენი, რას აკეთებ!

შემსრულებელი დათვლის, რომ 10-იანში სულ 12 ისარია:



– 10-იანში 12 ისარია, ე.ი. 10+2 ათეული, 10 ათეული იძლევა 1 ასეულს, წავშალოთ 10 წვრილი ისარი და დავხაზოთ 1 მსხვილი ისარი, წვერით 100-იანში. ეს ერთი ასეული დაემატება პირველი შესაკრების ასეულებს და გახდება 6 ასეული, ხოლო ათეული დაგვრჩება 2, მიიღება **620**.

თითოეული წარმომადგენლის მიერ დავალების შესრულების შემდეგ მასწავლებელი სხვა ჯგუფებს ეკითხება: – რამე შეცდომას ხომ არ ხედავთ?

თუკი შეცდომაა, მას წარმომადგენლის ჯგუფის წევრები შეასწორებენ.

<u>გაკვეთილის ბოლო 5 წუთი – მეორე ფაზა, ახალი ცოდნის აგებისა და გააზრებისა</u>

მასწავლებელი დაფასთან იძახებს ერთ (ძლიერ) მოსწავლეს და აძლევს ახალ ნასწავლი ტიპის დავალებას: 350 + 90

– გიორგი, შეკრიბე ადვილი ხერხით, ნაწილ-ნაწილ, თან ყველაფერი აგვიხსენი!

მოსწავლე წერს დაფაზე, თან ხმამაღლა მსჯელობს. თუ გაუჭირდება, სხვა მიეხმარება ადგილიდან ან გამოვა დაფასთან (როგორც საქმის მსვლელობა მოითხოვს).

სხვა მოსწავლეები რვეულებში წერენ:

$$\begin{array}{r} 350 \\ + \quad 90 \\ \hline 440 \end{array}$$

გიორგი ამბობს: – შეკრებას ვაკეთებთ ნაწილ-ნაწილ. 350-ს 400-მდე აკლია 50. მივამატოთ ეს 50 და მივიღებთ 400-ს. 90-დან დაგვრჩება კიდევ 40. ამიტომ ჯამი ყოფილა 400 და 40, ანუ 440.

მასწავლებელი ამბობს: – ძალიან კარგი, ყოჩაღ! ახლა ამ ჩანაწერით ვიმსჯელოთ. ვიწყებთ ერთეულებით: 0+0 = 0 *(თან აჩვენებს თითით),* შემდეგ... განაგრძე, თამუნა!

თამუნა გამოდის და მსჯელობს (სხვა მოსწავლეები რვეულებში წერენ):

$$\begin{array}{r} 1 \\ 350 \\ + \quad 90 \\ \hline 440 \end{array}$$

– ახლა ვკრებთ ათეულებს: 5 + 9 = 14, აქ 4-ს ვწერთ და დაგვრჩა 1 ასეული. მასწავლებელი ამბობს: – დიახ, ძალიან კარგია, ეს 1 ასეული დავიმახსოვროთ, თანაც რომ არ დაგვავიწყდეს, 1-იანი აქ ზედ დავუსვათ *(და წითლად დააწერს 1-იანს).*

3 + 1 = 4. ჯამი მივიღეთ... თამუნა! – მივიღეთ **440**. – კარგია!

გაკვეთილი მთავრდება. მასწავლებელი აქებს იმ ჯგუფებს და იმ მოსწავლეებს, რომლებმაც კარგად შეასრულეს დავალებები. თან კონკრეტულად აღნიშნავს, ვინ რა შეასრულა კარგად.

მასწავლებელმა უკვე იცის, ვინ როგორ იყო მომზადებული გაკვეთილისთვის და ვინ როგორ აქტიურობდა. საგანგებო შემოწმებისთვის დროის დახარჯვა საჭირო არაა. უფრო ზუსტი და საფუძვლიანი შემოწმებისთვის ხშირ-ხშირად ტარდება საკონტროლო წერები.

მასწავლებელი კლასს საშინაო დავალებას აძლევს მომდევნო გაკვეთილისთვის:

1. გაადიდეთ 60-ით: 50, 190, 780, 870. შემდეგ იგივე რიცხვები გაადიდეთ 65-ით.

2. ჩაწერეთ ყველა რიცხვი, რომელიც შეიცავს 6 ათეულს, მაგრამ არ შეიცავს 7 ათეულს.

3. ჩაწერეთ ის რიცხვი, რომელიც იმდენითაა მეტი 500-ზე, რამდენითაც ნაკლებია 600-ზე. ჩაწერეთ ის რიცხვი, რომელიც იმდენითაა მეტი 450-ზე, რამდენითაც ნაკლებია 550-ზე.

4. ერთნაირი ჩხირები დააწყვეს ასეთი განლაგებით:



რამდენი ჩხირია დაწყობილი? რამდენი და რომელი ჩხირები უნდა გადავაწყოთ, რათა ოთხი ერთნაირი სამკუთხედი მივიღოთ? მიღებული ნაკვთი ჩახატეთ რვეულში.

5. დახაზეთ მონაკვეთი, რომელიც 3 სმ-ით გრძელია ამ მონაკვეთზე:



დახაზეთ მონაკვეთი, რომელიც 3-ჯერ გრძელია ამავე მონაკვეთზე.

6. გამრავლების გარეშე დაალაგეთ კლების მიხედვით:

5 • 6, 5 • 8, 5 • 11, 5 • 5, 5, 5 • 0, 5 • 10, 5 • 2.

7. 691 = ?

ა) 12 + 75; ბ) 820 + 75; გ) 318 + 616;

დ) 300 + 400; ე) 318 + 373.

საშინაო დავალება შედგება 7 ამოცანისგან. მათ შორისაა ახალნასწავლი საკითხის განმტკიცებაც: შინ მოსწავლეები დამოუკიდებლად ამოხსნიან მათ – გამოიყენებენ იმ ცოდნას, რომელიც კლასში ერთად აღმოაჩინეს და ააგეს.

საშინაო დავალების სრულად შესრულება ყველასთვის არაა სავალდებულო. მოსწავლე თვითონ ირჩევს, რომელ ამოცანებს გააკეთებს (ზომიერი დაძაბვით). კლასში მაინც გაირჩევა ყველა ამოცანა. თუმცა მოსწავლეთა უმრავლესობა ცდილობს, ყველა ამოცანა ჰქონდეს ამოხსნილი. მთავარია ამოცანების დიდი მრავალფეროვნება, რათა ყველა მოსწავლეს შეეძლოს თავისი მიდრეკილების შესაფერისი სარბიელის პოვნა.

შეკრება ასეულზე გადასვლით თავად მოსწავლეებმა ისწავლეს და ჩამოაყალიბეს. თვითონ აღმოაჩინეს, ახსნეს, ააგეს ახალი ცოდნა. მასწავლებელს არაფერი აუხსნია, მხოლოდ წარმართავდა გაკვეთილს და მოსწავლეებს ეხმარებოდა (ფასილიტაცია). ეს ყოველივე შესაძლებელი გახდა წინასწარ ჩატარებული შემზადების წყალობით, აქტიური მზაობის მეთოდიკის საფუძველზე.

და სასწავლო პროგრამა ასევე გრძელდება: მომდევნო საშინაო დავალება მოიცავს ახალნასწავლი საკითხის განმტკიცებასაც და მომდევნო მცირე საკითხის შემზადებასაც და ა.შ.

ამრიგად, ერთი საკითხის კონსტრუქტივისტული სწავლების სამი ფაზა ორ გაკვეთილზეა გადანაწილებული – ადრე ნასწავლი საკითხების განმტკიცებასა და მომდევნო სასწავლი საკითხის შემზადებასთან ერთად. მთელი სასწავლო პროგრამა ძალიან ზუსტად უნდა იყოს გათვლილი და აწყობილი – ძიება, აღმოჩენა, აგურ-აგურ აგება, გააზრება და გავარჯიშება...

<u>მომდევნო გაკვეთილის შუა 15 წუთი – მესამე ფაზა, განმტკიცებისა</u>

შუა გაკვეთილია. მასწავლებელი მოსწავლეებს გადასვამს რიგების მიხედვით.

საშინაო დავალების გარჩევისას მასწავლებელმა დაინახა, თუ რომელ მოსწავლეს გაუჭირდა ასეულზე გადასვლით შეკრება. მან ერთ რიგში ყველაზე აქტიური მოსწავლეები მოაგროვა, მესამე რიგში – ყველაზე ნაკლები მზაობის მქონე მოსწავლეები, მეორე რიგში – დანარჩენები. მასწავლებელი მოსწავლეებს ამოცანებს მისცემს დამოუკიდებელი სამუშაოსთვის, თითო რიგს – თითო ამოცანას. პირველი ამოცანა ყველაზე ძნელია, მესამე – ყველაზე ადვილი, თუმცა სამივე ახალნასწავლ საკითხზეა.

ამ დავალებებს მასწავლებელი დაწერს დაფაზე შემოკლებულად, თან ახმოვანებს დაწვრილებით. შემდეგ თითოეული რიგიდან თითო ბავშვს კიდევ ერთხელ გაამეორებინებს ამოცანის შინაარსს დაწვრილებით. მოსწავლე დგება, დაფის მოკლე ჩანაწერის მიხედვით, ხმამაღლა აყალიბებს ამოცანას.

მოსწავლე I რიგიდან: სკოლამ უნდა იყიდოს 350 ქართული წიგნი და 60 ინგლისური წიგნი. მაღაზიიდან აცნობეს, რომ ყოველ შეძენილ 100 წიგნზე სკოლა საჩუქრად მიიღებს სურათებიან ალბომს. სულ რამდენი წიგნი უნდა იყიდოს სკოლამ? რამდენ ალბომს მიიღებს სკოლა საჩუქრად?

მოსწავლე II რიგიდან: სპორტულ მოედანზე სახტომი ზოლია. ზოლის ყოველი 1 მეტრი უნდა მონიშნონ ალმებით. გოგამ გადაზომა 3 მ და 60 სმ, ამის შემდეგ გაზომვა ირაკლიმ განაგრძო და ბილიკის ბოლომდე კიდევ 80 სმ გამოუვიდა. სულ რა სიგრძის ყოფილა ზოლი და რამდენი ალამი დასჭირდებათ?

მოსწავლე III რიგიდან: ნანამ მაღაზიაში გადაიხადა 7 ლარი და 80 თეთრი, ავტობუსში – 50 თეთრი. სულ რამდენი თეთრი დაუხარჯავს ნანას?

მასწავლებელი ამბობს: – ამოსახსნელად გეძლევათ 2 წუთი.

მოსწავლეები დამოუკიდებლად იწყებენ წერას, მასწავლებელი მერხებს შორის დადის და აკვირდება, თუ ვინ როგორ მუშაობს. ჩუმად მიუთითებს ზოგ მოსწავლეს. დიდხანს ჩერდება მესამე რიგთან.

მასწავლებელი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს პასიურ, არასაკმაო მზაობის მქონე მოსწავლეებს – ანუ მესამე რიგს. მათ მისახვედრებელი შეკითხვებითა და მინიშნებებით ეხმარება.

დროის გასვლის შემდეგ, მასწავლებლის მითითებით, თითო რიგიდან თითო მოსწავლე გადის დაფასთან. დაფაზე წერს და ამოხსნის შესაბამის ამოცანას მცირე განმარტებებით, აყალიბებს იმასაც, როგორ შეასრულა შეკრება ასეულზე გადასვლით, თან პასუხობს თანაკლასელების შეკითხვებს.

მესამე ფაზა ძირითად გაკვეთილზე ვერ მოესწრო, რადგან ამ გაკვეთილზე საფუძვლიანი ჯგუფური მუშაობა ჩატარდა. შეიძლებოდა სხვაგვარადაც: ჯგუფებისთვის მიცემული დავალებებიდან მასწავლებელს ამოერჩია ძირითადი ორი-სამი (შეკრება სქემა-ნახაზებით, შეკრება გამოსახულებებით და შეკრება ქვეშ მიწერით) და ისინი დაფაზე პარალელურად შეესრულებინა სამ მოსწავლეს. მასწავლებელი იზრუნებდა იმაზე, რომ ჩანაწერებისა და სქემების ურთიერთშესაბამისი ნაწილები დაფაზე ერთმანეთის გვერდით ყოფილიყო. მაშინ ამ გაკვეთილზევე დაიწყებოდა მესამე ფაზა – ამოხსნიდნენ, მაგალითად, რომელიმე განხილულ საყოფაცხოვრებო ამოცანას ახალნასწავლი შეკრების გამოყენებით.

მოსწავლეები თვითონ აგებენ თუ აღმოაჩენენ ახალ ცოდნას, ეს ერთადერთი გზაა ღრმად გააზრებული და ცოცხალი, აქტიურად გამოყენებადი ცოდნისკენ. ასე ნასწავლი მოსწავლეები საშუალოდ 2-ჯერ მაღალ ქულებს იღებენ, ვიდრე სხვები. ამასთან ერთად, მოსწავლეებს ძლიერ უვითარდებათ აზროვნება, მსჯელობის, წიგნზე მუშაობისა და ტექსტის დამოუკიდებლად გააზრების უნარ-ჩვევები, ზოგადად დამოუკიდებლობა, გერგილიანობა, აქტიურობა, საკუთარი ძალების რწმენა...

ინფორმაცია

თბილისში 320-ადგილიანი სტუდენტური საერთო საცხოვრებლის მშენებლობა დასრულდა

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდმა, ლისის ტბის ფერდობზე, 320-ადგილიანი თანამედროვე სტუდენტური საერთო საცხოვრებლის მშენებლობა დაასრულა. ახლად აშენებული კომპლექსი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **ალექსანდრე ჯეჯელავამ**, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველმა მოადგილემ **ილია დარჩიაშვილმა** და მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა **ჯუანშერ ბურჭულაძემ** დაათვალიერეს.

საერთო საცხოვრებელი, რომელიც საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად დაუცველი წარჩინებული სტუდენტების სასწავლო და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს, საერთაშორისო სტანდარტებით აშენდა და აღიჭურვა. როგორც პროექტით გათვალისწინებული იყო, აშენდა 3 საცხოვრებელი კორპუსი და ადმინისტრაციული შენობა, ასევე, გაკეთდა: კაფეტერია, საკონფერენციო ოთახი, სამედიცინო პუნქტი, ბიბლიოთეკა, კომპიუტერების ოთახი, სამრეცხაო და სხვა დამხმარე სახის ინფრასტრუქტურა, რაც სტუდენტებს მაქსიმალურად კომფორტულ გარემოს შეუქმნის. შენობის გარეთ გაკეთდა შიდა გზები და ბილიკები, ღია ტიპის სპორტული მოედანი, გარე ტრენაჟორები და მოეწყო გარე განათება. ტერიტორია კეთილმოეწყო და გამწვანდა. სამუშაოები სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდა და მისმა საერთო ღირებულებამ 5.250.777 ლარი შეადგინა.

მშენებლობა 2014 წლის გაზაფხულზე, პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდმა დაიწყო. საცხოვრებელ კორპუსში სასტუმროს ტიპის ბინებია. მათ შორის, რამდენიმე ბინა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის არის განკუთვნილი. შესაბამისად, საცხოვრებლის ინფრასტრუქტურა სრულად არის ადაპტირებული შშმ პირთათვის.

რაც შეეხება საერთო საცხოვრებელში სტუდენტთა განთავსებას, უახლოეს მომავალში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ამ მიმართულებით, წესსა და პროცედურებს შეიმუშავებს.

ალექსანდრე ჯეჯელავა: *„პირველ რიგში, ვიტყვი, რომ ასეთი საჩუქრის მიღება ჩვენი სამინისტროსთვის და ჩვენი სტუდენტებისთვის ძალიან დიდი სიხარული და დიდი პატივია. სტუდენტთა განთავსების კრიტერიუმები განხილვის საგანი უნდა გახდეს, რა თქმა უნდა, ჩვენი საწყისი პირობის გათვალისწინებით. კრიტერიუმების ორი ძირითადი მიმართულებაა: სოციალური საჭიროება (ვისაც რეალურად სჭირდება ეს დახმარება, იმ ხალხმა მიიღოს) და აკადემიური მოსწრება (გვინდა, ეს წახალისების ინსტრუმენტიც იყოს, რომ საუკეთესო სტუდენტებს შევუქმნათ ყველაზე მეტი რეზერვი). სამწუხაროდ, ჯერჯერობით, განებივრებული არ ვართ მსგავსი დანესებულებების სიმრავლით, ამიტომ სტუდენტის სოციალური სტატუსი აუცილებლად იქნება გათვალისწინებული, ამავდროულად, გავიმეორებ, რომ გვინდა ეს საკითხი აკადემიურ მოსწრებასთანაც იყოს კავშირში.*

ძალიან მნიშვნელოვანია სტუდენტების ჩართვა ამ პროცესში. მიხარია, რომ სტუდენტებთან, უკვე ჩემს მეგობრებთან, ვისთანაც ეს დღეები ინტენსიური საუბარი გვაქვს სხვა თემებზე, ასეთი კარგი თემა მექნება განსახილველი. ერთად უნდა გადავწყვიტოთ, როგორი კრიტერიუმები იქნება სამართლიანი და სწორი კამპუსის დასაკომპლექტებლად, შესამუშავებელია სტანდარტები. სამუშაოს 99% დასრულებულია, მაგრამ მნიშვნელოვანი შტრიხებია შესატანი – ავეჯით და ტექნიკით აღჭურვა. მოკლედ, ჯერ კიდევ ბევრი საქმეა გასაკეთებელი და აქაც შევეცდებით, პროცესში სტუდენტები ჩავრთოთ. დღეს ერთი მშვენიერი იდეა გაჩნდა – ჩვენი პროფესიული სასწავლებლის სტუდენტები, რომლებიც ძალიან კარგ ავეჯს ამზადებენ, ჩავრთოთ ამ პროცესში და მათი ძალისხმევით მოეწყოს საცხოვრებელი. ასევე, გვყავს აიტი სპეციალობების სტუდენტები, რომლებსაც შეგვიძლია უკაბელო ინტერნეტის ქსელი გავაკეთებინოთ და ა.შ. მგონია, რომ ეფექტურად ჩავრთავთ სტუდენტობას როგორც გადაწყვეტილების მიღებაში, ასევე შენობის მოწყობაშიც.“

ილია დარჩიაშვილი: *„საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მოწყობის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდმა დაასრულა სამას ოცადგილიანი სტუდენტური საერთო საცხოვრებლის მშენებლობა. აღნიშნული კომპლექსი თავის თავში მოიცავს სხვადასხვა ტიპის ინფრასტრუქტურას, რომელიც საჭიროა სტუდენტებისთვის, გათვალისწინებულია: სპორტული მოედნები, ბიბლიოთეკა, საკონფერენციო დარბაზი და ა.შ. ვფიქრობთ, აღნიშნული კომპლექსი ხელს შეუწყობს და დაეხმარება სტუდენტებს სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან, მაქსიმალურად კონცენტრირდნენ სწავლაზე. ეს იქნება კარგი ხელშეწყობა სტუდენტებისთვის – ისწავლონ და იცხოვრონ თანამედროვე გარემოში.“*

ნინო კობახიძე, მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე: *„ნამდვილად ძალიან მნიშვნელოვანი დღეა. როცა პრემიერ-მინისტრისგან, ირაკლი ღარიბაშვილისგან მივიღეთ დავალება, მოგვემზადებინა პროექტი და მის განხორციელებაში მიგვეღო მონაწილეობა, ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდით, რომ ასე სწრაფად და ხარისხიანად დასრულდებოდა სტუდენტური საცხოვრებლის მშენებლობა. საერთო საცხოვრებელი რეგიონებიდან ჩამოსული სოციალურად დაუცველი წარჩინებული სტუდენტებისთვის გაკეთდა. დარწმუნებული ვარ, განათლების მინისტრი ამ მომენტს გაითვალისწინებს. მისი ხედვა მთლიანად დაემთხვა ჩვენს ჩანაფიქრს, რომლის საფუძველზეც შემუშავდა ეს კონცეფცია, ძალიან სწორად შეირჩა ადგილიც საერთო საცხოვრებლისთვის.*

მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ეკონომიკის სამინისტროს, რადგან ეს საცხოვრებელი გახლავთ საქართველოს მთავრობის გუნდური, ერთობლივი მუშაობის შედეგი. რეგიონული განვითარების სამინისტრომ და მუნიციპალური განვითარების ფონდმა, ერთობლივად, აბსოლუტური სიზუსტით შეასრულეს პრემიერ-მინისტრის დავალება. ასევე აღსანიშნავია, რომ სტუდენტებისთვის ასეთი პირობების შექმნა მთლიანად ეხმიანება საქართველოს პრემიერ-მინისტრის ოთხპუნქტიან გეგმას და განათლების რეფორმას, რომლის განხორციელებაც ასე აქტიურად მიმდინარეობს.“

წიგნის თარო

მასწავლებლის ბიბლიოთეკა

მასწავლებლის სამუშაო რვეული



მასწავლებლის სამუშაო რვეული პორტფოლიოს განუყოფელი ნაწილია. რვეულის სტრუქტურა საშუალებას აძლევს მასწავლებელს:
1. საჭიროებისამებრ შეავსოს გაკვეთილის დაგეგმვის სქემების მოკლე ან სრული ვარიანტები;
2. გაეცნოს გაკვეთილის დაგეგმვის რეკომენდაციებს;
3. გაეცნოს გაკვეთილის მოკლედ და დეტალურად დაგეგმვის ნიმუშებს.

4 ლარი

ინტერაქტიური მეთოდების კრებული

კრებულში აღწერილია **ინტერაქტიური სწავლების მეთოდები**; მოცემულია თითოეული მეთოდის გამოყენების ეტაპობრივი აღწერა; განხილულია, რა უნარებს ავითარებს თითოეული მეთოდი; დასახელებულია თითოეული მეთოდის გამოყენების წინაპირობა. კრებულში თავმოყრილია 50-მდე მეთოდის აღწერა.

6 ლარი

კათედრის გამგის პორტფოლიო

კათედრის გამგის პორტფოლიო საშუალებას აძლევს კათედრის გამგეს აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საქმიანობები. შესავსები სქემების, ცხრილებისა და კათედრის სხდომის ოქმების გარდა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კათედრის ხელმძღვანელს პორტფოლიოს წარმოებაში და მისი საქმიანობის განხორციელებაში.

6 ლარი

მასწავლებლის კალენდარი

2015-2016 სასწავლო წლის კალენდარი ისეა შედგენილი, რომ მასწავლებელს მთელი სასწავლო წლის განმავლობაში შეუძლია **დაგეგმოს და ჩაინიშნოს** მისთვის საჭირო და სასურველი აქტივობები და ინფორმაციები. კალენდარი ყოველკვირეულად აწვდის მასწავლებელს მისთვის მნიშვნელოვან პრაქტიკულ, **პედაგოგიურ რჩევას თუ საჭირო ინფორმაციას**.

კალენდარს ახლავს პირველი და მეორე სემესტრისთვის განკუთვნილი შესავსები გაკვეთილების ცხრილი, მნიშვნელოვანი აქტივობების რეესტრი და თავისუფალი ფურცლები, რაც მოსახერხებელია, რათა მასწავლებელს ყველა საჭირო ინფორმაცია ერთად ჰქონდეს განთავსებული.

5,50 ლარი

შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით:
599880073, 0322958023

მიმდინარეობს ხელმოწერა

შეავსეთ სკოლის ბიბლიოთეკა

ქართველი მწერლების ნაწარმოებებით

ვაჟა-ფშაველა (10-ტომეული)
I-VI ტომი – 11 ლარი
მიხეილ ჯავახიშვილი (7-ტომეული)
I-VII ტომი – 12 ლარი
ედიშერ ყიფიანი (2-ტომეული)
I-II ტომი – 15 ლარი
კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომეული)
I, VI, VII, VIII, IX, X ტომი – 16 ლარი,
II, IV-V ტომი –18 ლარი
რევაზ ინანიშვილი (6-ტომეული)
I-VI ტომი – 14 ლარი
ვახტანგ ჭელიძე (9-ტომეული)
I-VII ტომი –12 ლარი
გრიგოლ აბაშიძე (6-ტომეული)
I-V ტომი – 12 ლარი
ოტია იოსელიანი (10-ტომეული)
I, III, IV, V, VI, IX, X ტომი – 12 ლარი
თამაზ ჭილაძე (6-ტომეული)
I-VI ტომი – 10 ლარი
გოდერძი ჩოხელი (5-ტომეული)
I-V ტომი – 14 ლარი

მითითებულია თითო ტომის ფასი

წიგნი I
ძველი ქართული მწერლობა;
წიგნი II
„ვეფხისტყაოსანი“;
წიგნი III
XIX საუკუნის მწერლობა
წიგნი IV
XX საუკუნის მწერლობა

თამარ გელიტაშვილი,
ამირან გომართელი

თითოეული კრებულის ფასი – 12 ლარი

სავარჯიშო რვეული ქართულ მართლწერაში

10 ლარი

საყმაწვილო ენციკლოპედია

თითო ტომის ფასი – 12 ლარი

ავტომობილი
სამურაი
უდაბნო
გამოგონებები
განძის ძიება
გლადიატორები
დრო და კალენდარი
ძველი ეგვიპტე
ევროპა
ვიკინგები
ფიზიკა
ახსნილი და აუხსნელი
ფენომენები
კოშკები და ცათამბჯენები
უძველესი ადამიანები
მათემატიკა
ძველი რომი
ძველი საბერძნეთი



რა არის რა

მთავაზობთ 10 ტომს ენციკლოპედიების სერიიდან „რა არის რა“ სპეციალურ ფასად.

თითო ტომს, 12 ლარის ნაცვლად, 9 ლარად მიიღებს.

თემატური პლაკატები

დაწყებითი კლასებისთვის

(42X59.4 სმ)

1. წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
2. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
3. ფერები
4. გარეული ცხოველები
5. გარეული ფრინველები
6. პროფესიები
7. შინაური ცხოველები და ფრინველები
8. ჰიგიენის ნივთები
9. საოჯახო ნივთები
10. ტრანსპორტი
11. ზღვის ბინადრები
12. ტანსაცმელი
13. ხილი
14. ბოსტნეული
15. ჩემი სხეული
16. ფორმები
17. რიცხვები
18. რის შვილს რა ჰქვია
19. მწერები
20. ამინდი
21. მცენარეები
22. საპირისპირო ცნებები
23. ქალაქში
24. სოფელში
25. სპორტის სახეობები
26. ზღაპრის გმირები
27. ჩემი საქართველო
28. ქართული ანბანი
29. ინგლისური ანბანი
30. რომელი საათია

ფასი – 2.90 ლარი

მაღალი კლასებისთვის

(59.4X84.1 სმ)

1. რელიგიების წარმოშობა
2. გარეული ფრინველები საქართველოში
3. გარეული ცხოველები საქართველოში
4. მწერები
5. ქვეწარმავლები საქართველოში
6. საქართველოს მცენარეები
7. სამყაროს წარმოშობა
8. ნიადაგი – სიცოცხლის წყარო
9. რეპტილიები და დინოზავრები
10. ზღვის დინებები
11. ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა
12. ქართველი მეომრის შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა
13. მსოფლიოს შვიდი საოცრება

ფასი – 4 ლარი

მითითებულია ერთი ცალის ფასი

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“,
ს/კ 202058735, ა/ა GE93LB0113314052305000,
ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
ყურადღება! ფიზიკურმა პირებმა, თანხის გადმორიცხვისას, მიუთითეთ პირადი ნომერი

მწერალთა პორტრეტები

(34X47 სმ)

1. მიხეილ ჯავახიშვილი
2. გიორგი ლეონიძე
3. ირაკლი აბაშიძე
4. ნოდარ დუმბაძე
5. აკაკი წერეთელი
6. კონსტანტინე გამსახურდია
7. პაოლო იაშვილი
8. სულხან-საბა ორბელიანი
9. პოლიკარპე კაკაბაძე
10. გურამ რჩეულიშვილი
11. დავით გურამიშვილი
12. ბესიკი
13. რევაზ ინანიშვილი
14. თეიმურაზ I
15. ვახტანგ VI
16. გიორგი მერჩულე
17. გრიგოლ ორბელიანი
18. დავით ალმაშენებელი

4 ლარი

რეპროდუქციები

1. ჰორაციუსთა ფიცი, ჟაკ-ლუი დავიდი
2. მწყემსთა თაყვანისცემა, დომენიკო გირლანდაიო
3. ადელ გლოს-ბაუერის პორტრეტი, გუსტავ კლიმტი
4. მენინები, დიეგო ველასკესი
5. დელფოსელი სიბილა, მიქელანჯელო
6. მხატვრის ბაღი, კლოდ მონე
7. უკლები შვილის დაბრუნება, რემბრანდტი
8. საძანელა, ოგიუსტ რენუარი
9. საკვირაო გასერნება გრან ჟატის კუნძულზე, ჟორჟ სიორა

6.5 ლარი

მსოფლიო კლასიკოსები

მკვდარი სახლის ჩანაწერები, თეოდორე დოსტოევსკი
ცოლთა სკოლა, ანდრე ჟიდი
გზა ელიტისკენ, ჯონ გრეინი
რჩეული მოთხრობები, ნიკოლოზ გოგოლი
ტალღებზე მორბენალი, ალექსანდრე გრინი
ტკბობა, გაბრიელე დანუნციო
დედაჩემი, ალბერ კამუი
კავკასია, ალექსანდრე დიუმა
დონ კიხოტის დაბრუნება, გილბერტ კით ჩესტერტონი
დროის ინსტიტუტი, აჰმედ ჰამდი ტანტინარი
ეფი ბრისტი, თეოდორ ფონტანე
ილელი ვენერა, პროსპერ მერიმე
კავკასიური მოთხრობები, ლევ ტოლსტოი
კვარტერონი, მაინ რიდი
ლორდ ჯიმი, ჯოზეფ კონრადი
მადამ ბოვარი, გუსტავ ფლობერი
სპარსული წერილები, შარლ ლუი დე მონტესკიე
მუუთმენლობა გულისა, შტეფან ცვაიგი
მოწყენილობა, ალბერტო მორავია
ორი რომანი, მიგელ დელიბესი
პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი, ვიქტორ ჰიუგო
მოთხრობები, ალექსანდრე პუშკინი
რჩეული მოთხრობები, ჯონ გოლზუორთი
სატანის ელექსირები, ერნსტ ჰოფმანი
საყვარელი ჩრდილოეთ ჩინეთიდან, მარგერიტ დიურასი
ძალთა ბედნიერება, ემილ ზოლა
ღამეული გართობა, რაფაელ საბატინი
წითელი და შავი, სტენდალი
ძრელი საბურველი, სომერსეტ მოემი
ჯაშუში, ჯეიმზ კუპერი
ლისტენშტაინი, ვილჰელმ ჰაუფი
ჰუსარი სახურავზე, ჟან ჟიონო

თითოეულის ფასი – 15 ლარი

სასკოლო ოლიმპიადების გამარჯვებული მოსწავლეები დაჯილდოვდნენ

ოლიმპიადაში წელს, საშუალოდ, 100 000-მდე მოსწავლე მონაწილეობდა, მათ შორის უსინათლო მოსწავლეებიც (გამოყენებულია ბრაილის შრიფტი). ოლიმპიადის შედეგად 121 გამარჯვებული მოსწავლე გამოვლინდა: I ადგილი – 15 მოსწავლე, II ადგილი – 15 მოსწავლე, III ადგილი – 14 მოსწავლე; საუკეთესო ათეული – 77 მოსწავლე. გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ, შესაბამისად – 1000, 700, 500 და 50 ლარის ღირებულების კომპიუტერული ტექნიკისა და აქსესუარების სასაჩუქრე ბარათებითა და დიპლომებით. გარდა მოსწავლეებისა, მადლობის სიგელებით დაჯილდოვდნენ რეიტინგული სიის I, II, III ადგილებზე გასული სკოლები (29).

წიგნის თარო

მოვემზადოთ საატესტატო გამოცდებისთვის

კრებულში შესულია პროგრამით გათვალისწინებული თეორიული მასალა და ტესტები. გადასაფხეკი ფენის ქვეშ მოთავსებულია უნიკალური კოდი. ეს კოდი შეიყვანეთ სპეციალურ აპლიკაციაში, რომელიც განთავსებულია გამომცემლობის ოფიციალურ ფეისბუქგვერდზე
fb.com/bakursulakauripublishing

ერთი კოდის გამოყენება შეუძლია მხოლოდ ერთ მომხმარებელს. ელექტრონული ტესტები შეიძლება ჩააბარო როგორც თემების მიხედვით, ასევე შერეულად.

კრებულის ფასი – 9.90ლ

სერიის ფასი – 17.70ლ

ქართული ენის კრებულები

ერთიანი სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გრამატიკის თეორიული კურსი და სავარჯიშოები.

ნამდვილი და მოგონილი ამბები

სერია „ნამდვილი და მოგონილი ამბები" შექმნილია I-VI კლასების მოსწავლეებისათვის, „კითხვის საათის" სპეციფიკის გათვალისწინებით.

სერიის ფასი – 30.40ლ

ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.axaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com
რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება" ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი" ბ/კ BAGAGE22,
რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >

CMYK